# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 29 ივნისი, 2010 წელი.

№120 (6486)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## მეოცე საუკუნეში ჰიტლერი დაესხა სტალინს, ოცდამეერთეში - სააკაშვილი

*(ის - ცოცხალს, ეს - მკვდარს...)*



თქვენ იკითხეთ, თორემ სტალინს რა...

⑥

## ერთპარტიული ეგოიზმი, ანუ კონსტიტუცია — ③ თანამდებობების შესანარჩუნებლად?

## მოხიგი აჯაფსანდალი ②





## ზოგიერთი გააფსაზებული ქართველი საქართველოსგან აფხაზეთის აღიარებას ითხოვს ⑤

## როცა გზები მრთმანეთისკენ მიდის, ⑦ ანუ ქანაანიდან ვიდრე მცხეთამდე

SOS! SOS! SOS!

## შეიძლება ვლადიმერ ვახანია სხვა პატიმართა მსგავსად საკანში ზეწრით ჩამომხრჩვალი ვიხილოთ...



იმის შემდეგ, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში განახლდა ვლადიმერ ვახანიას სისხლის სამართლის საქმის განხილვა, №6 საპყრობილის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, მსჯავრდებული საერთო საკნიდან, სადაც მოთავსებული იყო სხვა პატიმრებთან ერთად, განმარტოებით საკანში გადაიყვანეს.

უფლებადამცველებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პოლიტპატიმრად აღიარებული აკადემიკოსის ვლადიმერ ვახანიას ადვოკატები: ლალი აფციაური, ლილი გელაშვილი, ნუგზარ კვარაცხელია, გია ებრალძე, ილია ლომია და ჯემალ შელია პროტესტს გამოვთქვამთ ვლადიმერ ვახანიას რუსთავის №6 საპყრობილის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებაზე და მიგვაჩნია, რომ ვლ. ვახანიას სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და მოსალოდნელია მისი ფიზიკური განადგურება.

მსჯავრდებულის მოსალოდნელ მკვლელობაზე ეჭვის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ ჩვენ არაერთი საზარელი ფაქტი გვახსოვს ხელისუფლებისთვის მიუღებელი იმ პატიმრების „თვითმკვლელობისა“, რომლებმაც განმარტოებულ საკანში ყოფნის დროს თავი ჩამოიხრჩვეს ზეწრით ან ქამრით.

ვაფრთხილებთ ხელისუფლებას!

მიუხედავად ვლადიმერ ვახანიას მიმართ განხორციელებული არაერთი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლისა, მსჯავრდებული ფსიქიკურად გაწონასწორებულ მდგომარეობაში იმყოფება, იგი სიკვდილს არ აპირებს და ნებისმიერ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ.

ლალი აფციაური, ლილი გელაშვილი, ნუგზარ კვარაცხელია, გია ებრალიძე, ილია ლომია, ჯემალ შელია.

### მსჯავრდებულის და - ნანული ვახანია:

— ვაცხადებ, რომ ჩემს ძმას ერთადგილიან საკანში გადასვლა იმ პატიმრებმა აიძულეს, ვისთანაც ადრე იჯდა. შესაძლოა, ეს პროვოცირებულიც იყოს და ვიღაცამ სპეცდავალება შეასრულა, მაგრამ მე დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემი ძმის სიცოცხლე საფრთხეშია და მთელ პასუხისმგებლობას ვაკისრებ მიხეილ სააკაშვილს!

## ტურების ღამე



# მორიგი აჯაფსანდალი

**გორს უკანასკნელად 1907 წლის დეკემბერში ესტუმრა, პირველი მეუღლის კატო სვანიძის დაკრძალვის შემდეგ შეუარა თბილისიდან დედას ღრმად დამწუხრებულმა, და მხოლოდ 45 წლის შემდეგ, 1952 წელს დაუბრუნდა საყვარელ ქალაქს... ბრინჯაოს ექვსმეტრიან ძეგლად. მთელი 48 წელი იდგა და დაფიქრებული გაჰყურებდა ქალაქის ქუჩებს, რომლებშიც მისმა უსიხარულო ბავშვობამ გაიარა.**

2010 წლის 25 ივნისს უყელეს. დღისით ვერ შებედეს, ღამით მიესივნენ ტურებივით და ჩამოხსნეს კვარცხლბეკიდან.

არმაზის მსხვერპლი იყო იმ ღამეს გორში.

არადა, აქამდეც რამდენჯერ სცადეს. 50-იან წლებში, მთელი კავშირის მასშტაბით რომ სულ წია-წია წაიღეს სტალინის ძეგლები და კარპატებიდან წყნარ ოკეანემდე ერთი ფიორა ბიუსტიც კი არსად დატოვეს წამლად, ამას ხელი ვერ ახლეს, აქაოდა, მის სამშობლოში დგასო, ბოლოს და ბოლოს, ისტორიული სამართლიანობით ეკუთვნისო. გადაიტანა ავბედობა, მაგრამ ამ ბოლოს ნაციონალებმა ამოიღეს თვალში. ამას წინათ თვითონვე გაამხილეს, თურმე აგვისტოს ომის დროს მტერს ეხვეწებოდნენ, 50 ათასი დოლარიც შეაძლიეს ქრთამად, გორის ცენტრი დაბომბეთ და სტალინის ძეგლი ააფეთქეთო. რუსებს სინდისი ეყოთ და გადაჭრით უარი თქვეს ამ უმადურ საქმეზე, თუმცა ქალაქის ცენტრი მაინც დაიბომბა. შედეგად ხალხი კი დაიხოცა, მაგრამ ძეგლს, შელოცვილივით არაფერი დაჰკლებია. ბუნებრივად იბადება კითხვა: თუკი რუსმა გენერლებმა შეძლეულ ქრთამზე მტკიცე უარი თქვეს(!), მაშ ნინო ბურჯანაძის და სხვათა მართებული ვარაუდისა არ იყოს, მართლაც თვით ჩვენებს დაუბომბავთ გორი და თუკი ქალაქი სულ მიწასთან ვერ გაასწორეს, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ სანთი და გერგილიანობა არ ეყოთ ჩვენს მამაც სამხედროებს. ან დღენახევრიან ომში მეტი რა უნდა მოესწროთ და მოეხერხებინათ?

ახლა იმაზე ბჭობა, თუ რატომ შეება ამ ძეგლს ასე ამოჩემებულად ჩვენი დემოკრატი პრეზიდენტი, შორს წაგვიყვანს. ოღონდ ერთი მომენტი ამ საერთო ანგარიშით სწორედაც სატირალ ამბავში ის არის, რომ როცა ეს ჩვენი მაგარი მიხეილი ამერიკის მიბაძვით დიქტატორის აჩრდილს ებრძვის დიქტატორის მშობელ ქალაქში, თვით ამერიკაში, კერძოდ ფილადელფიაში, ამ სამიოდ კვირის წინათ სწორედ ამ დიქტატორის ბიუსტი დადგეს, როგორც ანტიჰიტლერული კოალიციის ერთ-ერთი უდიდესი წევრისა.

ახლა ძეგლის დემონტაჟის დროსა და გარემოებაზე. რატომ შეირჩა მაინცდამაინც შუაღამე, ანუ ტურების სტრატეგია? ე. ი. ხალხის ეშინოდათ, ხალხისა კი მაშინ ეშინიათ, როცა ავ საქმეს იქმენ.

გორში სტალინის ძეგლის არსებობა ძალიან ბევრს, მათ შორის არა მხოლოდ შეურიგებელ იდეურ მოწინააღმდეგეებს, არამედ სტალინიზმისგან უშუალოდ დაზარალებულებსაც კი, დასაშვებად მიაჩნდათ (და მიაჩნიათ), როგორც გორის მუზეუმის ორგანული ნაწილისა. რაკი არსებობს ქალაქი, სადაც დაიბადა და ყრმობის წლები გაატარა ამ მთელს მსოფლიოში აგრერიგად სახელგატყორცნილმა მეოცესაუკუნელმა, დაე მუზეუმმა მაქსიმალურად მოიცვას ამ კაცის ბიოგრაფიული ფრაგმენტები. რამდენი ზურგჩანთააკიდებული ტურისტი სწორედ ამ სისრულის სანახავად ჩამოდის გორში. ტურიზმსაც ხომ ჭკუით უნდა კეთება!

ერთიც. ამხელა დუნიაზე, ოკეანიდან ოკეანემდე, რა არ დააბრალეს, კაციჭამიობით დამთავრებული, მაგრამ უნიჭო და სულელი იყოო, ვერავინ გაბედა თქმა. ნაციონალებმა ესეც კი გაბედეს: ყბადაღებულმა ნოდარ ლადარიამ სახეზე მური წაისვა და, სტალინი უნიჭო ადამიანი იყო, რომელიც შურს იძიებდა თავისზე უკეთესებზეო, ამოიხავლა. ლადარია, ემაგ პირით პური როგორ უნდა ჭამო, კაცო!

ახლა მეორე სრულიად რესპუბლიკური მოვლენის — ჩვენი მთავრობის მორიგი აჯაფსანდალის შესახებ.

სტალინის ძეგლზე მოწყობილი საფარისა არ იყოს, ჩაიფიქრებს რაღაცას ჩვენი პრეზიდენტი და საზოგადოებას პირდაპირ აჯახებს ხოლმე თაურივით. იმ კვირაში მინისტრები დაარბია, ლუარსაბი რომ ბიჭებს დააწიოკებდა ხოლმე, ისე. ზოგი საერთოდ დაიქნია მინისტრეთიდან, ზოგიც დაკოდა ან დაამყნო. მანამდე რა ნიშნით შეარჩია აწ უკვე ყოფილები და გააპოლოლიკა, ან ახლა რატომ მოუშილიფა ხვანჯრები ასე სახალხოდ და გამეტებით მოსცხო სუკებში, მის მეტმა არავინ იცის. ერთხელ იყო და ეკა ტყეშელაშვილი ამოიჩემა: ყოველი ახალი სიის ამოკითხვაზე ახალ სამინისტროში გადაარბენინებდა ხოლმე, თან ისე, რომ ის გამსლეული გოგო აზრზეც არ იყო, სახალხო მეურნეობის რომელი უბნის სათავეში დააკოსებდნენ. ახლა ახალი ეკა მოგვიფრინდა — ვერა ქობალია, თან ისე სასწრაფოდ, რომ ფქვილიანი ხელების დაბანაც ვერ მოასწრო. ფორმალურად პრეზიდენტი სწორია — აკი პური მეპურემ უნდა გამოაცხოს! ჰოდა, დანიშნეს არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად!

მდგრადის, მააშ!

ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!

ამის იმედს ის იძლევა, რომ ამ ახლად შენჯღრეულ მთავრობის კაბინეტში ვერიკო არც პირველია და არც უკანასკნელი, სუყველა ერთმანეთს ჰგავს ბორჯომის ბოთლებივით.

ჰოდა, პრეზიდენტმა, მაინცდამაინც სხვა ვერა, ვერა გადაგვარჩენსო!

მეტი არაა ჩემი და ცუგრუმელა ვერიკოს მტერი!

**სანდრო ალექსიძე**

## ბრიფინგი

### კანონის დაცვა კანონდარღვევა ყოფილა!

**გუშინ არასამთავრობო ორგანიზაცია „გადაარჩინე სიცოცხლე“ — ზურაბ ვაზაგაშვილის სახელობის დარბაზ „ჯაზუში“ — კონტროლის პალატის ყოფილი უფროსის ნუგზარ ნაჭყებიას მხარდამჭერი საგანგებო ბრიფინგი გაიმართა.**

ნუგზარ ნაჭყებიას პოლიტიკური დევნა 2005 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. მან არ შეასრულა ნაციონალური მოძრაობის ბინძური დაკვეთა იმჟამინდელი სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბიძინა გიორგაძის წინააღმდეგ.

ბატონი ნუგზარ ნაჭყებია, სწორედ იმიტომ გახდა ხელისუფლების მსხვერპლი, რომ არ დაარღვია კანონი და ბოლომდე იბრძოლა სამართლიანობის დასაცავად.

ამჟამად მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე „თანამდებობის ბოროტად გამოყენების“ ბრალდებითაა აღძრული, რაც სრული სიცრუეა, — აცხადებს მოძრაობის „გადაარჩინე სიცოცხლე“ თავმჯდომარე იური ვაზაგაშვილი. ის აფრთხილებს ხელისუფლებას, რომ თავი დაანებონ სიმართლისთვის მებრძოლ ადამიანებს და მოუწოდებს ოპოზიციურ პარტიებს, მთელ საზოგადოებას, ვისთვისაც სამართლიანობა ყველაზე მთავარია, ხუთშაბათს, 1 ივლისს მობრძანდნენ საქალაქო სასამართლოს წინ ნუგზარ ნაჭყებიას დასაცავად...

**თამთა ჭითანავა**

## პრესკონფერენცია

# რატომ არ არიან ინვალიდები მერიისთვის მისაღებნი?

**პარტია „საქართველოს გზა“ და ინვალიდთა კავშირი ახალი ინიციატივით გამოვიდა და ინვალიდების უფლებების დასაცავად გაერთიანდნენ. „საქარ-**



**თველოს გზის“ ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა, საკრებულოს წევრმა ნათელა მაჭავარიანმა, „საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის“ პრეზიდენტმა ზაზა სიხარულიძემ და ინვალიდებმა პეკინზე, გადასასვლელ ხიდთან პრესკონფერენცია გამართეს. ნათელა მაჭავარიანის განცხადებით, საკრებულოში მისი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ინვალიდთა უფლებების დაცვა და მათთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა იქნება.**

პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერის სალომე ზურაბიშვილის თქმით, ქალაქი ინვალიდებს უნდა დაუბრუნონ, ძალიან ხშირად ირღვევა მათი უფლებები. ინვალიდები მერიისთვის მისაღებნი არ არიან. უნარშეზღუდულებისთვის თუნდაც ეს გადასასვლელი ხიდები მიუწვდომელია. თბილისის მასშტაბით 2000 ინვალიდია და მათთვის მხოლოდ ერთი სკოლა ფუნქციონირებს, არც ტრანსპორტშია სპეციალური ადგილები გამოყოფილი, — დასძინა ზურაბიშვილმა.

„ინვალიდებისთვის და, ზოგადად, უნარშეზღუდული ადამიანებისთვის არ არსებობს ადაპტირებული ცხოვრების გარემო, განათლების მიღებისა და დასაქმების პირობები. ინვალიდებს არათუ სრულფასოვნად არსებობა, არამედ ყოფითი პრობლემები — ქალაქში გადაადგილებაც კი უჭირთ.

მაჭავარიანმა ისიც აღნიშნა, რომ ინვალიდების ძირითად პრობლემას უმუშევრობა წარმოადგენს. „არ არსებობს მათი დაცვის მექანიზმი, სახელმწიფოს სოციალურ პროგრამებში ისინი გათვალისწინებული არ არიან, მათი აღრიცხვა არც კი ტარდება. საქართველოში ეს ადამიანები სოციალურად დაუცველ ფენას მიეკუთვნებიან“.

მაჭავარიანის თქმით, უნარშეზღუდულები 18 წლამდე 22 ლარის დახმარებას იღებდნენ, ახლა უკვე ესეც მოუხსნეს. ამ პრობლემებს ნათელა მაჭავარიანი საკრებულოში დააყენებს და მათი უფლებების დასაცავად ბოლომდე იბრძოლებს.

**ხატია მუსერიძე**



## ინფორმაცია

### ვაშაძემ რუსეთის მოქალაქეობაზე უარი თქვა

**საქართველოს** საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე რუსეთის ფედერაციის მოქალაქე აღარ არის.

ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

— გასულ კვირას მივიღეთ ინფორმაცია, რომ რუსულმა მხარემ როგორც იქნა მოიცალა და დიდი დებატებისა და მსჯელობის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დააკმაყოფილოს გრიგოლ ვაშაძის განცხადება რუსეთის მოქალაქეობაზე უარის თქმის შესახებ, — განაცხადა ჯალაღანიამ.

მისივე თქმით, რუსულმა მხარე ვაშაძისთვის მოქალაქეობის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება მიმდინარე წლის 23 ივნისს მიიღო.

### ქართველთა საპროტესტო აქცია ტორონტოში

**კანადაში** ქართულმა სათვისტომომ დიდი ოცეულის სამიტზე რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ჩასვლა გააპროტესტა.

ტორონტოში მცხოვრებმა ქართველებმა საპროტესტო აქცია აშშ-ის საკონსულოსთან გამართეს. როგორც აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, მათი მიზანი იყო სამიტის მონაწილე ქვეყნებისათვის შეეხსენებინათ 2008 წლის აგვისტოში, საქართველოში განვითარებული მოვლენები.

### ნარჩენების გატანის შესაძლებლობები იზრდება

**ქვეყნიდან** საწარმოო ნარჩენების გატანის შესაძლებლობები იზრდება. საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ კანონში ცვლილებები შედის, რომლის მიზანიცაა ჰიდროსაინჟინრო მშენებლობისათვის განსაკუთრებულად მაღალი ხარისხის ცემენტის წარმოებისათვის ხელშეწყობა.

როგორც პარლამენტში განმარტავენ, კანონპროექტის შემუშავების მიზანს წარმოადგენს ის გარემოება, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ კანონი მიღებულია 1997 წელს. ამ პერიოდში საქართველოს საწარმოო პოტენციალი და ნარჩენების გადამუშავების და გამოყენების შესაძლებლობები ძალზე დაბალი იყო. ამ ეტაპზე კი ქვეყანაში განვითარდა ნარჩენების უსაფრთხო გადამუშავებისა და გამოყენების შესაძლებლობები. განსაკუთრებით, ეს შეეხება შავ და ფოლადისმსხმელ წარმოებაში მიღებულ გრანულირებულ წიდას, რომელსაც წარმატებით იყენებენ ცემენტის წარმოებაში. ასევე ის შეიძლება გამოყენებულ იქნას სამშენებლო მასალის წარმოებაში.

ჯი-ეიჩ-ენი

ახალი საგარანტიო რესურსებით

# კონსტიტუცია – თანამდებობების შესანარჩუნებლად?!

**„1995 წლის საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების პროცესში, – და შემდგომ წლებშიც, – მოქმედ კონსტიტუციაში განხორციელებული რეფორმა თუ ცალკეული შესწორება-დამატებები მიმართული იყო ავტორიტარული ხელისუფლების დამკვიდრებისაკენ. 1995 წელს მიღებულმა კონსტიტუციამ სუპერსაპრეზიდენტო მოდელის ფორმირების სამართლებრივ საშუალებებს ჩაუყარა საფუძველი. მათმა ამოქმედებამ სახელმწიფო მმართველობის პულტთან მაჟორიტარი ხელისუფალი „მიავლინა“. 2004 წლის კონსტიტუციურმა რეფორმამ კი სუპერპრეზიდენტობის უმაღლესი სტანდარტი – ავტორიტარიზმი – გააფორმა მისგან გამომდინარე სავალალო შედეგებით. საქართველოში სადღეისოდ ერთპარტიული პოლიტიკური ეგოიზმია გაბატონებული.**

ახლა ის დრო დადგა, როდესაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიტიკურად დამძიმებული ვითარების რადიკალურ შეცვლას ითხოვს. პოლიტიკური პარტიები კი ითხოვენ საპრეზიდენტო და საპარლამენტო ვადამდელ არჩევნებს. საქართველოში არსებული ვითარების გასაჯანსაღებლად პრეზიდენტისა და მისი მომსახურე ერთპარტიული პარლამენტის გადარჩევა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი ღონისძიებაა. გარდაუვალია სერიოზული საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც მიმართული იქნება სახელმწიფო მმართველობის სისტემის რეკონსტრუქციისაკენ და ქართული საარჩევნო სამართლის სამართლიანობის კონსტიტუციური გარანტირებისაკენ. მხოლოდ ასეთმა სამართლებრივმა პოლიტიკამ შეიძლება ჩაანაცვლოს ერთპარტიული ფსევდოდემოკრატია ჯანსაღი მრავალპარტიული წარმომადგენლობითი დემოკრატიით.

ასეთი მწვავე შეფასების საფუძვლიანობა უკანასკნელ თვეებში განხორციელებული უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური აქციების საგანგაშო ფაქტურითაც დასტურდება. ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის შემზადებული რეფორმის უსამართლო ნოვაციები და მომავალი კონსტიტუციური რეფორმა. შემოთავაზებული კონსტიტუციური პროექტი, კონსტიტუციონალიზმში აღიარებული მოდელური პრაქტიკის გათვალისწინებით, ვერ ამართლებს მოლოდინს სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს შორის კომპეტენციური წონასწორობის რეანიმაციის შესახებ.

ჩვენ ორივე აქტის პერსპექტიულობის თვალთახედვით მათში გამოკვეთილ ნეგატივებზე გავამახვილებთ ყურადღებას. საარჩევნო კოდექსმა კანონდებული ნორმატიული საშუალებებით განაპირობა თბილისის მერის არჩევნების გაყალბება. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ ინიცირებული რეფორმა მისი მოდელური ორიენტაციის საბოლოო გაურკვევლობის პირობებში სახელმწიფო მმართველობის ქართულ მოდელს მეოთხე გარდამავალ პერიოდს უწინასწარმეტყველებს. ასე რომ, საქართველოში დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს პერსპექტიულობაზე საუბარიც კი წარმოუდგენელია, როდესაც ქართული კონსტიტუციონალიზმი ყოველ ჯერზე მმართველი პარტიის ნების კარნახით „ვითარდება“.

უკანასკნელ ხანებში აქტუალურია საკითხი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თაობაზე. როგორც გვარწმუნებდნენ, ამ მიზნით განხორციელდა 2009 წლის 28 დეკემბერს საქართველოს მოქმედ საარჩევნო კოდექსში ცვლილება-დამატებები. მაგრამ გამოვიდა – როგორც ყოველთვის. დამატებების პაკეტი ნაციონალების გამარჯვებაზე გათვლილი ახალი რესურსების დაკანონებით გამოირჩეოდა. საარჩევნო კოდექსში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების წინა თვეებში განხორციელებული ნოვაციური ცვლილებებით ნაციონალებმა გამარჯვებისათვის ახალი საგარანტიო რესურსები დაარეზერვეს:

– არჩევნებში სპეციალური სიით მონაწილე საქართველოს სამხედრო ძალებისა და შენაერთების ნაცვლად, ახალი ცვლილებით მათმა რაოდენობამ განუზომლად იმრავლა. ამჯერად მოცემული სპეციალური სია აერთიანებს საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო (გასამხედროებული) ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს (მუხლი 10-1„გ“). ზემოაღნიშნულ ცვლილებათა ჭრილში 2009 წლის 9 მარტს ამომრჩეველთა სპეციალური სიის მუხლში (პუნქტები 1„გ“ და 4), აგრეთვე, ამომრჩეველთა სიის დანართის მუხლში (პუნქტი 1„ბ“) პატიმრობაში მყოფ ამომრჩევლებთან დაკავშირებით გაჩნდა ახალი ნორმები. მართალია, ყოველ მათგანს ახლავს დათქმა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედების თაობაზე, მაგრამ ყველაფრის მკადრებელი კანონმდებლების მიმართ ეჭვთან ერთად ჩნდება კითხვებიც: რატომ გახდა საჭირო ასეთი დამატებების მიღება ცალკე ინიციატივით? რატომ არ შეიძლებოდა მათი მიღება 12 მარტის ცოდვილიან ცვლილებებთან ერთად? ან, საერთოდ, რა საჭირო იყო ასეთი დამატება შემდგომ არჩევნებამდე 4 წლით ადრე?

– საქართველოს საარჩევნო კოდექსში 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ორიოდე თვით ადრე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებთან დაკავშირებით გამარჯვებისათვის დადგინდა ნორმა, რომელიც თავისი არსით სამართლებრივი ნონსენსია. გამარჯვებისათვის მაჟორიტარ კანდიდატს ესაჭიროება შესაბამის საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 30%-ისა, მაგრამ მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა (მუხლი 105-5). საპარლამენტო არჩევნებში ამგვარმა დამატებამ ნაციონალებს 75 მაჟორიტარული მანდატიდან 71 გაუნაღდა. ახლა იგივე ნორმა მიზნობრივად, როგორც ნაციონალების სარეზერვო რესურსი, თბილისის მერიის არჩევნებზე ამოქმედდა (მუხლი $126^{16}$).

ნაციონალებმა არც ეს იკმარეს. გაჩნდა ახალი შესაძლებლობა და არც ის გაუშვეს ხელიდან. ქრისტიან-დემოკრატებმა მერობის კანდიდატად გ. ჭანტურიას დასახელება გადაწყვიტეს, მაგრამ მოქმედი საარჩევნო კოდექსი გამორიცხავდა მის მონაწილეობას არჩევნებში. არადა, ასეთი ინიციატივა ნაციონალების სარგებელსაც ითვალისწინებდა – გ. ჭანტურიას შეეძლო ხმების ართმევა ოპოზიციური კანდიდატებისათვის და ასეც მოხდა. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიან-დემოკრატების თანამშრომლობა ნაციონალებთან ამით კიდევ უფრო გამყარდა სხვა, ადრინდელ, დათმობებთან ერთად (გავიხსენოთ თუნდაც ხელისუფლების ხელშეწყობა იმისათვის, რომ პარლამენტში და აჭარის უმაღლეს საბჭოში ქრისტიან-დემოკრატების ე. წ. ოპოზიციური ფრაქციები შექმნილიყო). უკანასკნელმა გადაწყვეტილებამ უზომოდ გაზარდა ქრისტიან-დემოკრატების მევალეობის კრედიტი ნაციონალების წინაშე.




ამბობენ, ხელი ხელს ბანსო, მაგრამ, როგორც ჩანს – ყველა ვითარებაში არცთუ სუფთად. 2010 წლის 12 მარტს საარჩევნო კოდექსში განხორციელდა მიკრორეფორმა პერსონალური დანიშნულების ცვლილებებით. საკრებულოს წევრად და მერად მოქალაქის არჩევის შემზღუდავი ნორმა „საქართველოში უცხოვრია 2 უკანასკნელი წელი მაინც“, ახლებურად ჩამოყალიბდა – „უცხოვრია 5 წელი მაინც“ (მუხლები 109-1 და $126^{15}$). მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი გ. ჭანტურიას არჩევნებში ჩართვისათვის. საკითხი გარდამავალი დებულებების ბლოკში მოგვარდა (მუხლი $129^{15}$): დაკანონდა საქართველოს მოქალაქის პირადობის დროებითი მოწმობის საჭიროება. ასეთი მანდატის უნიკალობა იმაში გამოიხატა, რომ მის მფლობელს აქვს მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლება – იყოს არჩეული, მაგრამ ართმევს მას საარჩევნო ხმის უფლებას. კიდევ ერთი უცნაურობა მოცემული ნოვაციისა ის არის, რომ იგი 15 იანვარიდან, ანუ ნორმის დაკანონებამდე ორი თვით ადრე, ამოქმედდა. ასეთი პერსპექტივა კი პირადობის დროებითი მოწმობის მფლობელს აძლევს გარანტიას, რომ არჩევნების შემდეგ, 1 სექტემბრამდე, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით შეცვალოს იგი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით (?!).

საარჩევნო კოდექსში შეტანილმა სერიოზულმა კორექტივებმა სხვა რესურსებთან ერთად უზრუნველყო იმგვარი საარჩევნო გარემო, რომელმაც განაპირობა ნაციონალების მიერ წინასწარი კვლევებით დაგეგმილი შედეგი. საქართველოში არჩევნების სამართლიანობაზე მსჯელობა უზნეობაა, როდესაც პარლამენტის ერთპარტიული უმრავლესობა ყოველი არჩევნების წინ საარჩევნო კოდექსში არამართლზომიერი სეზონური რეფორმაციებით იხანგრძლივებს სიცოცხლისუნარიანობას.

საარჩევნო გარემოს სამართლიანობის მსგავსი ხელყოფებისაგან დაცვა უნდა უზრუნველყოს მკაცრმა კონსტიტუციურმა რეგლამენტაციამ, მაგრამ ნაციონალების მხრიდან ასეთი სურვილი არ ჩანს. საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ამ საკითხის აქტუალიზაციის მიუხედავად, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ მომზადებულ პროექტში საარჩევნო გარემოს მოწესრიგების არანაირი მცდელობა არ ჩანს.

ვენეციის კომისია მთელი ამ წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებას მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ცვლილებების დროულად განხორციელებისაკენ მოუწოდებდა, ყოველ ჯერზე შესაბამისი რეკომენდაციებიც შემოუთავაზებია პარლამენტში შეტანილ თუ შესატან კონსტიტუციურ კანონპროექტებთან დაკავშირებით, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების უპასუხისმგებლობის გამო კონსტიტუციური მოწყობის სრულყოფის ყველა შესაძლებლობა რეაგირების გარეშე რჩებოდა. ასეთი ურთიერთობა, ბოლოს და ბოლოს, მკაცრი შეფასების საგანი გახდა. 2010 წლის თებერვალში ვენეციის კომისიის ხელმძღვანელი, ბ-ნი ჯ. ბუკიკიო, საქართველოში იმყოფებოდა. როგორც ჩანს, ვენეციის კომისიის რეკომენდაციებისადმი არაკოლეგიალური დამოკიდებულების გამო მან პირდაპირ განაცხადა, რომ ჩვენში შექმნილი ვითარების მთავარი მიზეზი პოლიტიკური კულტურის ნაკლებობაა, რის გამოც 15 წლის განმავლობაში ვერ შევძელით საქართველოს სრულყოფილი კონსტიტუციური მოდელირება. ჯ. ბუკიკიომ აღნიშნა, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სახელისუფლებო შტოებს შორის ბალანსის ნაკლებობა აშკარაა. მას მიაჩნია, რომ აუცილებელია საქართველოს სახელისუფლებო შტოებს შორის დროულად აღდგეს ბალანსი: საქართველოს პრეზიდენტს უფლებები შეეზღუდოს, პარლამენტს კი, პირიქით – გაეზარდოს, რაც კონსტიტუციაში გარკვეული ცვლილებების დროულად გატარებას მოითხოვს.

უთუოდ აღსანიშნავია, რომ მოსალოდნელი რეფორმა რამდენიმე პოზიტიურ სიახლეს შეიცავს, მაგრამ შემოთავაზებული პროექტი ხელისუფლების მიერ შერჩეული მოდელის ადეკვატურ მოდელურ რეკონსტრუქციას არ ითვალისწინებს. იგი ხელისუფლების შტოთა ურთიერთმიმართებაში გარკვეული რევერანსების ფორმით მხოლოდ ლოკალურ საკითხებს აგვარებს. მიზეზი აქაც ტრადიციულია. რეფორმაციის პროცესი არ იყო რომელიმე საპროექტო მოდელზე მიზანმიმართული – რაც პროცედურულად ჩამოყალიბდა, საკონსტიტუციო კომისიამაც ხმების უმრავლესობით დაუჭირა მხარი.

**თუ მაინც ჩავთვლით, რომ საკონსტიტუციო კომისიის მიერ სახელმწიფოს შერეული მმართველობის მოდელია შემოთავაზებული, ობიექტურად მაინც უნდა განვსაჯოთ, პრაქტიკულად მისი რომელი ვარიანტი გამოგვივა ბოლოს და ბოლოს. საქმე ის არის, რომ საქართველოს კონსტიტუციის პირვანდელი ვარიანტიდან პრეზიდენტისადმი მიკუთვნებულმა კომპენტენციურმა პაკეტმა საავტორო ქართული ნოვაციით (საკანონმდებლო ინიციატივის უფლება რიგგარეშე განხილვის მოთხოვნისა და ვეტოს უფლებით) მას პირველი ვიოლინოს როლი მიაკუთვნა ქვეყნის საკანონმდებლო პროექტირების პროცესში. იგი დღესაც ინარჩუნებს ამ პრეროგატივებს. ამიტომაც არანაირი კავშირი არა აქვს არა მხოლოდ კლასიკურ ფრანგულ მოდელთან, არამედ კონსტიტუციონალიზმში მომრავლებულ მისნაირსახეობებთან: საპრეზიდენტო-საპარლამენტო და საპარლამენტო-საპრეზიდენტო მოდელებთან. კონსტიტუციური პროექტით შემოთავაზებული ხელისუფლების შტოთა ბალანსი ერთგვარად აწონასწორებს პრეზიდენტისა და მთავრობის მიმართებას კონტრასიგნაციის მექანიზმით. პარლამენტი კი, 1995 წლიდან მოყოლებული, საკანონმდებლო პროცესში კონსტიტუციით დადგენილ ინიციატორთა რიგში კვლავაც მესამე სუბიექტად რჩება. იგივე პერსპექტივა შეინარჩუნა პარლამენტმა მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში, რომელსაც ერთობ ჩახლართული პროცედურის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი პირადი გადაწყვეტილებით დაითხოვს (მუხლი 80).**

***რამდენიმე მოსაზრება უნდა ითქვას მოსალოდნელ კონსტიტუციურ რეფორმასთან დაკავშირებითაც. სხვათა შორის, ისიც ნიშანდობლივია, რომ კომისიის შექმნა მისივე ხელმძღვანელის კანდიდატურით ქრისტიან-დემოკრატების ინიცირებულია. კონსტიტუციური ცვლილებების პროექტის გაცნობა ერთგვარ სასოწარკვეთილებას იწვევს. ჩვენში სახელმწიფო მმართველობის მოქმედი სისტემა ხელისუფლების შტოთა შორის სერიოზული დისბალანსით გამოირჩეოდა. არის მცდელობა მისი დაბალანსებისა, მაგრამ ბევრი რამ ძველ დონეზეა შენარჩუნებული.***

იხ. 5 გვ.

განცხადება

## სიმართლე შეიძლება რომ იმაზე მწარე გამოდგეს, ვიდრე ზოგს ჰგონია

უკანასკნელ ხანს ქართულ მედიაში ზოგიერთი უნიათო ოპოზიციის წარმომადგენლის, ფსევდოოპოზიციისა თუ მათი მხარდამჭერი პირების მხრიდან საეჭვოდ მომრავლდა „ქართული აკადემიის“ შეურაცხმყოფელი გამონათქვამები და უსაფუძვლო ბრალდებები.

ჩვენ ამ უცნაური (მეტი რომ არა ვთქვათ) და წონასწორობადაკარგული ადამიანების ინტელექტუალურ და ზნეობრივ თვითდახასიათებას ჯერჯერობით ყურადღებას არ ვაქცევთ, რადგან სანამ ეს ხელისუფლება მართავს ქვეყანას, არ გვსურს დღეს ოპოზიციაში სხვადასხვა მიზეზითა თუ მიზნით აღმოჩენილი პარტიებისა და პოლიტიკოსების „სასახელო“ წარსულსა თუ აწმყოზე საუბარი.

ბატონებო! ნურც თქვენ გვაიძულებთ იმას, რაც ნამდვილად არ გვინდა, სიმართლე შეიძლება რომ იმაზე მწარე გამოდგეს, ვიდრე თქვენ გგონიათ.

„ქართული აკადემია“.
24.06.2010

ინფორმაცია

## დიალოგის დაწყებას მარტივი პირობებიდან იწყებენ

**საქართველოს ხელისუფლება მზადაა რუსეთთან კეთილ მეზობლური და ცივილიზებული ურთიერთობის აღდგენისთვის. ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ განაცხადა.**

**– მზადყოფნა, რომ რუსეთთან ყველა მიმართულებით კეთილმეზობლური და ცივილიზებული ურთიერთობა გვქონდეს, ეს არის ჩვენი როგორც აღმასრულებელი, ასევე უმაღლესი ხელისუფლების მიზანი, როგორც ომამდე, ისე ომის შემდეგაც. თუმცა რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფლების პოზიცია ძალიან ხისტია და აცხადებენ, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ დაელაპარაკება, ამის შესახებ საერთაშორისო საზოგადოებაც კარგად არის ინფორმირებული, – განაცხადა ჯალაღანიამ.**

**მისვე თქმით, მიუხედავად რუსული მხარის მსგავსი პოზიციისა, საქართველოს ხელისუფლება მზადაა ოფიციალურ მოსკოვთან დიალოგი ერთი მარტივი პირობის დაცვით დაიწყოს, კერძოდ კი, ქართული მხარე კრემლისგან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას და მისი სუვერენიტეტის პატივისცემას მოითხოვს.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ მწარე სინამდვილე

# წყალწაღებულნი

## ვინ რაზე იყიდება საქართველოში?

**აღმასრულებელ ხელისუფლებაში მორიგი საკადრო ცვლილებები მოხდა. შესაბამისად, ცვლილებების მოლოდინშია ყველა სამსახურის ყველა რგოლი – მინისტრის მოადგილეები, სამმართველოებისა და დეპარტამენტების უფროსები, სპეციალისტებიც კი, რადგან საბიუჯეტო ორგანიზაციებში ერთ საკადრო ცვლილებასაც კი ყველაფერის თავდაყირა დაყენება შეუძლია – ზოგი სამსახურს კარგავს, ახალს ვერაფერს შოულობს და აღებულ კრედიტს ველარ ფარავს, ზოგი დაწყებულ პროექტს ველარ ასრულებს, ზოგი ხელისუფლების მეხოტბედ რჩება, ზოგი ოპოზიციაში გადადის.**

აღმასრულებელ ხელისუფლებაში მორიგი საკადრო ცვლილებები მოხდა. შესაბამისად, ცვლილებების მოლოდინშია ყველა სამსახურის ყველა რგოლი – მინისტრის მოადგილეები, სამმართველოებისა და დეპარტამენტების უფროსები, სპეციალისტებიც კი, რადგან საბიუჯეტო ორგანიზაციებში ერთ საკადრო ცვლილებასაც კი ყველაფერის თავდაყირა დაყენება შეუძლია – ზოგი სამსახურს კარგავს, ახალს ვერაფერს შოულობს და აღებულ კრედიტს ველარ ფარავს, ზოგი დაწყებულ პროექტს ველარ ასრულებს, ზოგი ხელისუფლების მეხოტბედ რჩება, ზოგი ოპოზიციაში გადადის, ზოგი სასწავლებლად მიდის. ასეთი ცვლილებები ისედაც არასტაბილურ ქვეყანაში იმდენად დიდ რყევებს იწვევს, რომ ადამიანები არსებობის შენარჩუნების გარდა აღარაფრისთვის ირჯებიან და პროფესიული სტანდარტების დაცვა მათთვის მეასეხარისხოვანი ხდება.

მმართველობის ასეთ სტილს მხოლოდ ერთადერთი შედეგის მიღწევა შეუძლია – გაამყაროს კარგად ორგანიზებული და არაპროფესიონალიზმზე დაფუძნებული კლანური მმართველობა, რომელსაც ანალოგია მხოლოდ პირველყოფილ თემურ წყობილებაში მოეძებნება, სადაც გვარები ტომებად ერთიანდებოდნენ, საერთო ბელადი ჰყავდათ და ჯოგებად დაეხეტებოდნენ. დღეს, 21-ე საუკუნის საქართველოში, არსებობს მმართველი „ნაციონალური მოძრაობა", რომელსაც რამდენიმე „სახე" ჰყავს. ისინი თავიანთი ლოკალური გაერთიანების ბელადები არიან და ერთი უწყებიდან მეორეში თავისი „გუნდით" გადაადგილდებიან. თითო „სახეს" დაახლოებით 20-იდან 30-მდე თანმხლები პირი დაჰყვება. სამმართველოებსა და დეპარტამენტებში საკადრო ცვლილებებს ისინიც ისეთივე წარმატებით ახორციელებენ, როგორც მათი ბელადები. საბოლოო ჯამში, მინიმუმ ნახევარ და მაქსიმუმ



წელიწადში ერთხელ, ამა თუ იმ უწყებაში, დაახლოებით 100-200 თანამშრომელი იცვლება. მართვაში ასეთი მიდგომა თავისთავად გამორიცხავს ყველანაირ საერთოს პროფესიონალიზმთან.

როდესაც რევოლუციონერი ნაციონალები ხელისუფლებაში მოვიდნენ, მათი მთავარი კოზირი პროფესიონალიზმზე იყო ორიენტირებული, რაც კორუფციის, პროვინციალიზმისა და კლანურ-ქურდული მენტალიტეტის მმართველობაში დამარცხებას თავისთავად ნიშნავდა. ისინი იმასაც ამბობდნენ, რომ წარმოადგენდნენ ერთ გუნდს და ერთი წევრის მხრიდან გაპარული შეცდომის შემთხვევაშიც კი პასუხისმგებლობას ვერავინ გაექცეოდა. მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა.

მართალია, ისტორიას ბევრი ფაქტის გადაფასება შეუძლია. მაგრამ „ნაციონალების" მმართველობაზე რამდენიმე დასკვნის გაკეთება უკვე შესაძლებელია. დღევანდელი ხელისუფლების არაპროდუქტიულობას, მენეჯმენტში პრობლემებსა და არაკვალიფიციურობას მომავალშიც იგივე სახელი დაერქმევა. სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების ბრალია ხშირი საკადრო ცვლილებები და ექსპერიმენტები ყველა დონეზე – მინისტრიდან რიგით სპეციალისტამდე. ნაციონალები მართვისთვის მზად არ აღმოჩნდნენ.

ამ რეალობის შესაცვლელად კიდევ უფრო მოუმზადებლები ოპოზიციური გაერთიანებების წამომადგენლები არიან. თუმცა, კლასიკური ფორმის ოპოზიციური პარტია, ისევე როგორც მმართველი პარტია, საქართველოს არ ჰყავს. ორივე მხარის წარმომადგენლებს ერთადერთი მიზანი აქვთ – ტოტალური უმუშევრობის დროს როგორმე დასაქმდნენ. ასე გადანაწილდნენ ზოგნი საკანონმდებლო და ზოგნი აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

მძიმე რეალობიდან თავის დაღწევა მხოლოდ და მხოლოდ ახალ პოლიტიკურ სახეს და ახალ პოლიტიკურ გაერთიანებას შეუძლია. მოძველებულმა პოლიტიკურმა ფიგურებმა ეს კარგად იციან, ამიტომ ცდილობენ, სიახლეს ბარიერი შეუქმნან და ჯანსაღი კონკურენციის საშიშროება თავიდან აირიდონ.

საქართველოს არაჯანსაღი პოლიტიკური ფიგურების ვნებების განეიტრალება საზოგადოებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლება, თუ სიმართლის გაგების უნარი და თავისუფლების სურვილი გაუჩნდება, როდესაც გააპროტესტებს შეურაცხყოფას პოპულარობაზე და ძვირადღირებულ ბიზნესინტერესებზე გაყიდული ადამიანებისგან, რომლებსაც ხალხისთვის იმის წამოყვედრებაც კი შეუძლიათ, რომ მათ თურმე საარჩევნო ხმის გაცვლა პურისა და წამლის ფულზე მოუხდათ.

**ეკა აბრამიშვილი,**
**„ჰი-ეიჩ-ენი"**

◎ ვაი და უი ჩვენს განვითარებადობას!

# ნეტავი ფეხი მომტეხოდა და...

## ქვეყნის მომავალი საფრთხეშია!

**ისეთი არჩევნები გადავიარეთ, რომ წავსულიყავი, ვიფიქრებდი, ნეტავი ფეხი მომტეხოდა და იქ არ მივსულიყავიო.**

გამიმართლდა და ასეც მოხდა: არჩევნებზე არ წავსულვარ!

რაც მოხდა, სავსებით მოსალოდნელი იყო და დემოკრატიის ილუზიები ისევე გაქრა, როგორც უკეთესი მომავლის იმედები.

ან რისი იმედი უნდა გვქონოდა? ხალხი გაიმარჯვებდა? დამშეული ხალხი, რომლის დიდ ნაწილს პურის ფული ენატრება და ოც ლარად ხმასაც რომ გაჰყიდის და სინდისსაც?

რატომ ტრაბახობდა ოპოზიცია, თუ შნო არ ჰქონდა?

რატომ ვერ დაიცვა ხალხის ერთმა ნაწილმა თავისი ხმები ან რატომ გაყიდა ხალხის მეორე ნაწილმა საკუთარი მომავალი რამდენიმე ლარად?

რატომ შებრძანდნენ საკრებულოში ვითომ „ოპოზიციური დეპუტატები"? ზოგი ვაჟკაცად გვაჩენებდა თავს, ზოგიც ქვეყნის პატრიოტად, სხვები კი დიდ მოაზროვნეებად და ქრისტიან-დემოკრატებად გამოგვეცხადნენ...

თუ პარლამენტში საქმიანობა მიუღებელი იყო, საკრებულო რაღა ბედენაა?

ასეთები ვართ ქართველები და რას იზამ? „ბედნიერი ერი" ვართ, ილიამ რომ გვიწოდა. არც აკაკიმ დაგვინდო, ვაჟა კი გვევედრებოდა: **„ღმერთო, შეაყვარე ქართველებს საქართველო!"**

არაა ადვილი ასეთი საქართველოს შეყვარება. ქვეყნის, სადაც ურცხვად გაითელა პატიოსნება და სინდისი ხელისუფლების ძალაუფლების შენარჩუნებას შეეწირა.

დაპირებებიც ბევრი იყო, მაგრამ ხალხი რატომ მოტყუვდა?

ჯერ „საქართველო სიღარიბის გარეშე!" – ბრძანეს და ასრულების ჟამიც დადგა. ფასებიც ისე გაიზარდა, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრება ღარიბებისთვის გაუსაძლისი გახდა. თუ შიმშილს გადაურჩნენ, ამ ქვეყნიდან მათი განდევნის ყველაზე ეფექტური გზა ყოფილა.

შემდეგ „საქმე ლაპარაკის გარეშეო" – თქვეს და ჯერ საწყალ გარე მოვაჭრეებს დაერივნენ, შიმშილით სწრაფად რომ ამოწყდნენ, შემდეგ პოლიციამ და „სპეცნაზმა" გამოაჩინა არჩევნების წინ დამალული კლანჭები და ტერორი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

გინახავთ სადმე ნორმალური ქვეყანა, სადაც საკუთარი ერის წარმომადგენლები ასეთ დისკრიმინაციულ პირობებშია. თურქებმა აეროპორტი ხელში ჩაიგდეს და ქართველ მუშებს ხუთჯერ ნაკლებ ხელფასს აძლევენ, ვიდრე თურქეთიდან ჩამოყვანილებს. ამას ქვია საზღვარგარეთიდან შემოსული ინვესტიციების სიკეთე?

როგორც პრეზიდენტმა სააკაშვილმა გერმანელ ჟურნალისტთან ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანა, **საქართველოში 10 მილიარდერი გვყოლია!** ორი მილიარდერი ყველამ ვიცით (მათი მილიარდების წყარო რუსეთიაძ, ერთი კიდევ ალბათ ბენდუქიძეა? მაგრამ დანარჩენი შვიდეული ვინღაა? სააკაშვილმა თავისი თავი ამ მილიარდერებს არ მიაკუთვნა, მაგრამ იქნებ ჟურნალისტებმა გამოიძიონ ვინ არიან და ამ ღატაკ საქართველოში როგორ მოახერხეს მილიარდების დაგროვება?

თუ საქართველოში ათამდე მილიარდერი გვყავს, რატომ მათი ინვესტიციები არ ჩანს? იქნებ ჩამოგვითვალოს ეს მილიარდერები და მათ მაინც ვკითხოთ, თუ რატომ იყიდება ქართული მიწა და წყალი უცხოელებზე. **ალბათ, იმიტომ, რომ მხოლოდ უცხოელებს აქვთ პრივილეგიები ქართულ მიწაზე? ქართველები კი მხოლოდ მონური შრომისა და უცხოელთა მომსახურებისთვისაა განწირული.**

დღეს ალბათ უმთავრესი კითხვაა, თუ რას მოგვიტანს უთავბოლო პრივატიზაცია, მოხვდება თუ არა ქართული მიწა-წყალი მთლიანად უცხოელთა ხელში?

განათლება, მეცნიერება, კულტურა ამ ქვეყნისთვის ზედმეტი ფუფუნება აღმოჩნდა. ქართველს სულიერება უნდა გამოაცალონ, რათა მათ მონური ყოფა უდრტვინველად მიიღონ. ამიტომაც ატარებენ იმ რეფორმებს, რომლითაც ქართველის სულიერებას საერთოდ ამოძირკვავენ.

და შექმნეს ჟურნალისტებმა გაერთიანება ერთი მიზნით: **დაიცვან სიტყვის თავისუფლება!!!**

**დიახ, „სიტყვის თავისუფლება" ნამდვილად დასაცავია ქვეყანაში, რომელიც დემოკრატიის გზის ძიებაში „ტოტალიტარიზმის გზაზე" აღმოჩნდა.** თუ როგორ „დაიცვა" ვითომ ოპოზიციურმა ტელევიზია „კავკასიამ" მართლმადიდებელთა აზრი, კარგად ვიხილეთ, თუ როგორ გააგზავნეს მორწმუნე მართლმადიდებელი ახალგაზრდები ციხეში ხელისუფლებისა და „თავისუფლების ინსტიტუტის" ურწმუნოთა გასახარად.

არჩევნების ჩატარებაც ამისი მკაფიო დადასტურება იყო და არცაა გასაკვირი ის, რაც მოხდა. სანამ ეს ხელისუფლებაა, ყოველთვის ის შედეგები იქნება, რამდენი არჩევნებიც არ უნდა ჩავატაროთ!

მართალია, „თავისუფალი სიტყვა" დემოკრატიის მონაპოვარია, მაგრამ ხომ არ არის ის ძალზე საშიში ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში? განა ამ „თავისუფალ სიტყვას" არ შეეწირა გურამ შარაძე? რამდენი აღმოჩნდა გისოსებს მიღმა?

თუმცა, ერთი მთავარი პრობლემა რჩება. თუ სიტყვის თავისუფლება ყველასთვის დემოკრატიული მონაპოვარია, ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავარდება თვით მედია, თუ ყველამ ამ მონაპოვარით სარგებლობა მოისურვა. რა გაზეთის გვერდი ან სატელევიზიო ეთერი ეყოფა ყველას თავისუფალ სიტყვას? გამოდის, რომ ზოგიერთებს აქვთ სიტყვის თქმის საშუალება, მრავალთათვის კი ეს გამორიცხულია.

**ამდენად, სიტყვის თავისუფლება მხოლოდ მათი ხვედრია, ვინც პოლიტიკურ ან ფინანსურ ძალაუფლებას ფლობს...**

დღეს ჟურნალისტური გამოძიების ძირითადი თემაა **„რა ხდება?"**. ეს ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, მისი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, თუმცა, გაცილებით მნიშვნელოვანი სხვა კითხვაა:

**რატომ ხდება ის, რაც ხდება?**

ახლა სამეცნიერო ფონდმა შეწყვიტა არსებობა, რადგან ის ოთხი თუ ხუთი მილიონი ლარი, რაც საქართველოს მეცნიერებაზე იხარჯებოდა, ძალზე ბევრი ყოფილა. მთავარი ის კი არაა, რომ მეცნიერება და განათლება ნადგურდება, მთავარია იმისი გაგება, თუ რატომ ხდება ეს? რატომ დაინგრა ეკონომიკა? რატომ გადაიხვეწა მილიონამდე ქართველი საზღვარგარეთ? რატომ ვერ შევუქმენით მინიმალური სასიცოცხლო პირობები ჩვენს მოქალაქეებს საკუთარ ქვეყანაში?

იმედია, სწორედ ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა გახდება ჟურნალისტური გამოძიებების მთავარი მიზანი და თუ ამ შეკითხვებს ვუპასუხებთ, ჩვენ შევძლებთ ქვეყნის მომავლის პროგნოზირებას, რა მოგველის, რა მოელის საქართველოს?

მაგრამ ჯერ იმისი გარკვევა გვჭირდება, რატომ ებრძვიან სულიერებას და ინტელექტს?

ბლეზ პასკალი ამბობდა: **საკმარისია საფრანგეთი სამასმა ინტელექტუალმა დატოვოს და ის იდიოტების ქვეყნად გადაიქცევა!**

რამდენმა ინტელექტუალმა დატოვა საქართველო და როდის გადაიქცევა ეს ქვეყანა იდიოტების ქვეყნად? იქნებ უკვე გადაიქცა კიდეც?

ჟურნალისტური გამოძიების ერთ-ერთი მთავარი თემა უნდა გახდეს: **„რატომ და როგორ გახდა საქართველო განვითარებადი ქვეყანა და რა მოუტანა ქვეყანას ამ სტატუსის მიღებამ?"**

ცხადია, ჟურნალისტებს ძირითადად სენსაციები აინტერესებთ, თუმცა, ჩვენთან ამ სენსაციებში ძირითადად კრიმინალური თემატიკა ბატონობს. მაგრამ რატომ გაიზარდა კრიმინალური სამყარო? რატომ გაივსო ქართველი მეძავებით თურქეთისა და ევროპის საროსკიპოები? რატომ აძევებენ ქართველებს ევროპის ქვეყნებიდან?

ესეც ჟურნალისტური გამოძიების საგანია და თქვენ, ძვირფასო ჟურნალისტებო, ხედავთ, თუ რა მძიმე ტვირთი გაწევთ მხრებზე. გისურვებთ თავი დააღწიოთ ყვითელ პრესას და ის პრობლემები გააშუქოთ, რომელიც საქართველოს გადაარჩენს.

**სწორედ ამისთვის გვჭირდება სიტყვის თავისუფლება, რომელიც უმრავლესობისთვის ჩახშულია. ჯერ თავისუფლებაა საჭირო, ადამიანი ხელისუფალთა წნეხისგან უნდა განთავისუფლდეს, რათა შემდგომ წესიერი არჩევნების იმედი დაიბადოს, თორემ ამ პირობებში ოდნავ მაინც წესიერ არჩევნებზე საუბარი უაზრო დროის ხარჯვაა.**

საქართველოს მომავალი საფრთხეშია. საქართველოს ძალიან უჭირს და ჩვენგან (და არა გადამთიელთაგანძ შველას ითხოვს. არჩევნების გრიგალმა გადაიქროლა, მაგრამ გაიხსენეთ ბერტოლდ ბრეხტის სიტყვები: **„ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ, ხალხო!"**

**მერაბ ჯიბლაძე.**
**„თეთრები".**

№ 120. სამშაბათი, 29 ივნისი, 2010 წელი.

◎ დიალოგის გაგრძელება



***ქართულ-აფხაზური დიალოგის ერთ-ერთი მონაწილე, აფხაზეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალხაზ ჩოლოკუა „ინტერპრესნიუსს“ აფხაზეთში არსებულ ვითარებაზე, აფხაზური ხელისუფლების ხედვასა და რუსულ გავლენაზე ესაუბრა. ჩოლოკუა სხვადასხვა დროს ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში, არასამთავრობო და სამთავრობო სტატუსით მონაწილეობს.***

***„ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ალხაზ ჩოლოკუას ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს, ქალაქ კიშინოვში ესაუბრა.***

**— ალხაზ, როგორ ფიქრობთ, სხვადასხვა დონეზე დიალოგმა, რომელიც ამ ბოლო დროს ხშირად იმართება, შეიძლება რაიმე შედეგი გამოიღოს?**

— არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა ომის შემდგომ პერიოდში ქართველებთან შეხვედრებში, ჟურნალისტურ სემინარებში, სამთავრობო და არასამთავრობო ფორუმებზე. შემიძლია, ვთქვა, რომ გარკვეული პროგრესი არის ურთიერთობებში. მაგრამ მგონია, რომ ჩვენ ჯერ კიდევ სხვადასხვანაირად ვაზროვნებთ და სხვადასხვა პოლუსზე ვიმყოფებით, როცა საუბარია საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობებზე. აგვიანებს იმის აღიარება, რომ რეალობა შეიცვალა და აფხაზეთი აღარ არის ის აფხაზეთი, როგორიც, დავუშვათ, ორი წლის წინათ იყო; ეს ჩემი მოსაზრებაა და ვიღაცამ შეიძლება გამიგოს, ვიღაცამ — არა.

**„საქართველოს მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება ყველაზე იდეალური საქმეა, მაგრამ ამაზე არავინ არ ოცნებობს“**

**— რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ იმას, რომ ურთიერთობა ადამიანურ დონეზე გაუმჯობესდა. არ არის შუღლი, ანტაგონიზმი, შეიძლება საუბარი სხვადასხვა თემებზე, მაგრამ ვაკვირდები და ვასკვნი: — უჭირთ იმის გაგება, რომ აფხაზეთი დღეს სხვა აფხაზეთია. როცა ერთმანეთისგან მიჯნავენ აფხაზეთის და საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობის საკითხს, მივიჩნევ, რომ ასე არ უნდა ხდებოდეს, რადგან პრობლემის თავი და თავი სწორედ ეს არის; ამის გარდა, ვფიქრობ, რომ პრობლემა არც არის, პრობლემა სწორედ ამის გაგებაშია. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ვფიქრობ, რომ აფხაზეთის სტატუსის განხილვა არასდროს, არანაირი პირობების გათვალისწინებით არ მოხდება.

**— თუმცა, ასე არ ფიქრობენ თბილისში...**

— საქართველოში ფიქრობენ, რომ ეს საკითხი გადაჭრილი არ არის, ანუ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას რუსეთისა და სხვა ქვეყნების მხრიდან საქართველოში არასწორად მიიჩნევენ. ამ საკითხისადმი ჩვენი მიდგომა დიამეტრულად სხვადასხვაგვარია, რაც შემდგომში ხელს უშლის სხვა დანარჩენ საკითხებში ურთიერთობას. სწორედ ეს განგვასხვავებს სხვა კონფლიქტებისგან, როგორიც არის დნესტრისპირეთის და მოლდოვეთის კონფლიქტი და ა.შ.

**— გამოდის, რომ თქვენთვის მნიშვნელობა არ აქვს საქართველოს პოზიციას?**

— არ უარვყოფთ, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის სტატუსი ჩვენთვის სასიცოცხლოდ და პრინციპულად მნიშვნელოვანია, ისევე, როგორც საქართველოსთვის — აფხაზეთის თავის საზღვრებში დაბრუნების საკითხი; ოცნება, თუ რაც გინდათ დაარქვით, ასევე, პრინციპულია საქართველოსთვის.

**— ერთია, რას ფიქრობენ ხელისუფლებაში, მაგრამ მეორეა ადამიანური ურთიერთობები, რომლის დეფიციტიც რეალურად თუ ვიმსჯელებთ, არსებობს.**

— აფხაზეთის მთავრობა არ ეწინააღმდეგება ურთიერთობებს. მე ვმუშაობ სახელისუფლო სტრუქტურაში, ინფორმაციის მართვის დეპარტამენტში, აფხაზეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში და ჩემმა ხელმძღვანელმა ყოველთვის იცის, რომ ქართველებთან შესახვედრად მივდივარ. ჩვენი ხელისუფლება არ ეწინააღმდეგება არც ოფიციალურ და არც არაოფიციალურ ურთიერთობებს უფრო მაღალ დონეზეც, იმავე ჟენევის მოლაპარაკებებში. რა თქმა უნდა, აფხაზეთის მთავრობა ამაზე დიდ იმედებს არ ამყარებს, მაგრამ დიალოგზე უარს არ ამბობს.

**— მოდით, ისევ სტატუსის საკითხს დავუბრუნდეთ.**

— ჩვენთვის სტატუსის საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ვთვლით, რომ სტატუსის გამო დაიწყო ყველაფერი. ჩემი აზრით, აზრთა სხვადასხვაობამ მიგვიყვანა აქამდე. კარგად გვესმის, რომ აღიარება ერთ წუთში არ მოდის და არის ხანგრძლივი პროცესი, მაგრამ ჩვენ მაინც ვაღწევთ ამას. მართალია, ჯერ მხოლოდ ოთხმა ქვეყანამ გვაღიარა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, გვაღიარა რუსეთმა, ყველაზე დიდმა სახელმწიფომ მსოფლიოში, საერთაშორისო ასპარეზზე დიდი გავლენების მქონე ქვეყანამ, გაეროს მუდმივმა წევრმა, რომელსაც აქვს ვეტოს უფლება, ანუ ეს არ არის უკვე ვიღაც ბურკინა ფასოს აღიარება, ეს არის გავლენიანი და ძლიერი სახელწიფო. თუმცა, ეს დასაწყისია და ჩვენი დიპლომატები მუშაობენ, რომ სხვებმაც გვაღიარონ. ჩვენ ღია ვართ ევროპისა და სხვა ქვეყნებისთვის.

**— მიუხედავად ამისა, ასეთი ქვეყნები ჯერ არ ჩანან.**

— როგორც ჩვენი პრეზიდენტი ამბობს, არავის ხვეწნას არ დავუწყებთ, რომ გვაღიარონ, მაგრამ მუშაობა სხვადასხვა ქვეყანასთან ამ მიმართულებით არ წყდება.

**— რომელ ქვეყნებს გულისხმობთ?**

— ახლა კონკრეტულად ვერ გიპასუხებთ, მაგრამ გარკვეული ქვეყნები განიხილავენ ამ საკითხს. დარწმუნებული ვართ, რომ ეს პროცესი შეუქცევადია, შესაძლოა, არა დაჩქარებული ტემპებით, მაგრამ მაინც. გვახსოვს მაგალითები, როცა თუნდაც საბჭოთა კავშირის აღიარება არ ხდებოდა ძალიან დიდხანს, არათუ — პატარა აფხაზეთის; ვფიქრობ, რომ რუსეთის ფაქტორი ძალიან დიდია, იგივე ვენესუელა, რომელზეც, რაც არ უნდა თქვან, დიდი გავლენით სარგებლობს ლათინური ამერიკის რეგიონში და მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი გრძელდება.

**— თქვენ პირად საუბარში აღნიშნეთ, რომ ყველაზე დიდი მიზანი, რაც გაქვთ, ეს არის საქართველოს მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების მიღწევა.**

— დიახ, საქართველოს მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება, ეს არის ყველაზე იდეალური საქმე, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ამაზე არავინ არ ოცნებობს. თუ გვაღიარებს კარგია, თუ არადა, არაფერია ამაში საგანგაშო.

**— ძალიან ბევრს საუბრობენ აფხაზეთში რუსეთის ფაქტორზე, რა ხდება რეალურად, არის თუ არა საფრთხე იმისა, რომ აფხაზებმა თავიანთი იდენტობა დაკარგონ?**

— რაც შეეხება რუსეთის ფაქტორს, მე ვკითხულობ ქართულ ბლოგებს, ვეცნობი ქართულ გამოცემებს და შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ მოსაზრებები აფხაზეთში რუსეთის სრულ გაბატონებაზე მხოლოდ მითია. რუსეთი მოქმედებს ხელმოწერილი შეთანხმების ფარგლებში, რომელიც გულისხმობს რუსეთის „ფე-ეს-ბეს“ მიერ სასაზღვრო კონტროლს. მათი ჩამოსვლა აფხაზეთის ტერიტორიაზე მკაცრად არის განსაზღვრული, ისევე როგორც — რუსი ოფიცრების ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში. ისინი ღიად არასდროს ერევიან ჩვენს საშინაო პოლიტიკაში, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ამას სერიოზულად გეუბნებით.

**— ანუ თქვენ ამბობთ, რომ დღეს აფხაზეთში რუსული გავლენა არ არის?**

— კი, რა თქმა უნდა, ჩვენ ვიმყოფებით მათი გავლენის ზონაში და ამას არავინ უარყოფს, მაგრამ რუსეთი აფხაზეთის მთავარი სტრატეგიული პარტნიორია. ხმები რუსეთის აბსოლუტური ბატონობის შესახებ მითია.

**ლაშა ზარგინავა.**

◎ ახალი საგარანტიო რესურსებით

# კონსტიტუცია – თანამდებობების შესანარჩუნებლად?!

(მესამე გვერდიდან)

ამდენად, 2004 წლის კონსტიტუციური რეფორმით მოაზრებული ჩანასახი კონსტიტუციონალიზმში საბოლოოდ ფორმდება შერეული (თუ არა — არეულიძ მოდელის საპრეზიდენტო-სამთავრობო უნიკალურ ნაირსახეობად, რაც მთავარია, ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სისტემასთან მიმართებაში მისი შესაძლო სხვადასხვა ვარიაციებით. თუ პრეზიდენტიცა და პრემიერ-მინისტრიც ნაციონალურ პარტიას წარმოადგენენ, დღევანდელი სტატუს-კვო პარტიის ლიდერის მ. სააკაშვილის სასარგებლოდ ხელუხლებელი დარჩება. სხვა ვითარებაში, როცა საპარლამენტო უმრავლესობას პრეზიდენტის თანაპარტიელები არ შეადგენენ, საპრეზიდენტო-საპარლამენტო მოდელი ამოქმედდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ პრემიერ-მინისტრი საპარლამენტო უმრავლესობასთან პარტიული ინტერესით იქნება მიბმული, სამთავრობო-საპარლამენტო მოდელს მივიღებთ, როდესაც პარტიული ინტერესებით დაიბლოკება პრეზიდენტის გამორჩეული უფლებამოსილებები და სახელმწიფოში პრემიერ-მინისტრი იმეთაურებს.

არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ ინიცირებული კიდევ ერთი ნოვაცია. პროექტით გათვალისწინებულია კონსტიტუციიდან ორგანული კანონის მიღების წესის ამოღება (მუხლი 66-2ძ. ამასთან, 18 შემთხვევაში კონსტიტუციიდან საერთოდ ამოშანთულია ორგანული კანონის ხსენება. სავარაუდოა, რომ ასეთი იდეა საქართველოს კანონმდებლობაში მოჭარბებული პარადოქსებისა და კაზუსების აღკვეთას ისახავს მიზნად. მაგრამ წარმოუდგენელია, რომ ისეთი პარლამენტის კანონშემოქმედებაში, რომელსაც არ ძალუძს საკანონმდებლო აქტების იერარქიულობის პრინციპის დაცვა, კონსტიტუციის ორგანულ ნაწილად აღიარებული კანონების ჩვეულებრივ კანონებამდე ჩამოქვეითებით ამ საქმეს ეშველოს. ასეთი ხელოვნური რეფორმაცია კიდევ უფრო დააქვეითებს კანონმდებლების პასუხისმგებლობას და დასცემს საქართველოში კონსტიტუციური რეჟიმის ორგანული წესრიგის სიმყარეს. პრობლემა ისაა, რომ საკანონმდებლო პროცესის გამარტივება პარლამენტის უკანასკნელი წლების მკაფიოდ გამოკვეთილი ტენდენციაა. მით უფრო, რომ ვიდრე აღნიშნული ცვლილება კონსტიტუციით დაკანონდება, საპარლამენტო უმრავლესობამ მსგავსი ცვლილებების სეზონი 2009 წლის ოქტომბრიდან გახსნა პარლამენტის რეგლამენტში (მუხლები 160-4 და $176^5$ძ.

ხელისუფლება ყოველი არჩევნების შეფასებისას ე. წ. საერთაშორისო ზედამხედველობის აბსტრაქტული შეფასებებით კვებავს მოსახლეობას. თურმე, ეს უკანასკნელი არჩევნები „წინ გადადგმული ნაბიჯია“. ასეთი შეფასება ირონიაა 2004 წელს განხორციელებული რეფორმებისა თუ მას შემდეგ ჩატარებული არჩევნების მიმართ, აგრეთვე, ბოლო პერიოდში უკან გადადგმული ნაბიჯების სიმრავლესთან მიმართებაში.

„ვენეციის კომისიის“ იუბილესთან დაკავშირებულ საზეიმო სხდომაზე მ. სააკაშვილმა განაცხადა: „ვენეციის კომისია ყოველთვის გვერდზე გვედგაო“. ნამდვილად ასეა, მაგრამ ვერასოდეს ვერ გამოვიყენეთ ეს კვალიფიციური თანადგომა. სხვათა შორის, ვერც მსოფლიოში ცნობილ კონსტიტუციონალისტთა რჩევა-დარიგებები გამოვიყენეთ ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ. ერთი მათგანი ცნობილი ამერიკელი კონსტიტუციონალისტი ჰერმან შვარცია, რომელიც 1993 წლიდან, — საქართველოს კონსტიტუციის შექმნის პროცესიდან, — დაწყებული დაუზარებლად თანამშრომლობდა ჩვენთან. მას შემდეგაც არაერთხელ გამოუთქვამს თავისი შენიშვნები, მაგრამ, როგორც წესი — უშედეგოდ. ჰ. შვარცის ბოლო პუბლიკაცია „კონსტიტუციონალიზმის მშვენებლობის საფეხურები“ 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა ქართულ ჟურნალში „საკონსტიტუციო სასამართლოს მიმოხილვა“. იმის გათვალისწინებით, რომ პუბლიკაცია სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობის პროცესს დაემთხვა, მკითხველი უთუოდ მიხვდება, რომ ავტორის შენიშვნები და რეკომენდაციები ქართულ პრობლემებთან მიმართებაშია ფორმულირებული. ამ მხრივ, ავტორის ერთმა ფრაზამ განსაკუთრებით მიიქცია ყურადღება: **„კანონმდებლებს შეუძლიათ დაწერონ ისეთი კონსტიტუცია, რომლის საშუალებითაც ისინი შეინარჩუნებენ თანამდებობას“**. გამოდის, რომ ჰერმან შვარცი საქართველოს კონსტიტუციურ სამართალში ისე ღრმად არის გარკვეული, რომ ჩვენი პოლიტიკური ყოფის უმთავრესი პრობლემაც არ დარჩენია შეუმჩნეველი. სხვათა შორის, მოცემული შეფასება სრულად შეეხება საქართველოს საარჩევნო კოდექსსაც, რომელშიც იგივე სულისკვეთებაა გამოვლენილი.

***უკანასკნელ დღეებში მომავალ კონსტიტუციურ რეფორმასთან დაკავშირებით რამდენიმე კონკრეტული დეტალი გახმიანდა. აღმოჩნდა, რომ საკონსტიტუციო კომისიის წევრების გვერდის ავლით, ვენეციის კომისიაში წარგზავნილ კონსტიტუციურ პროექტზე მინაწერით მისი ამოქმედების თარიღად 2013 წელია მითითებული. ესეც რეფორმაციული პროცესის კალენდარული პრობლემაა. როგორ უნდა გავიგოთ, 2012 წელს არჩეული პარლამენტი პრეზიდენტის არჩევნებამდე ძველი კონსტიტუციით იმოქმედებს, თუ პარლამენტის არჩევნები საპრეზიდენტო არჩევნებს დაემთხვევა? მ. სააკაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ „მომავალი არჩევნები, მინიმუმ, ორი წელი არ იქნება, თუ მეტი არაო“. გამოდის, რომ საკონსტიტუციო რეფორმის პარტიტურა, ზემოთ აღწერილი ვარიაციებით, მხოლოდ ნაციონალების ინტერესებშია. მით უფრო, რომ იგი სრულად ეხმიანება უკანასკნელ დღეებში გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებებსა და მოსახლეობაში გავრცელებულ ჭორებს. ჩვენში ჭორების ზონდაჟიც სოციოლოგიური კვლევის სივრცეა და შეიძლება ამ იდეის მხარდასაჭერად ამოქმედდეს კიდეც.***

**ოთარ მელქაძე,**
**იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,**
**პროფესორი,**
**„ქართული აკადემიის“ წევრი**

## ვაი თქვენს პატრონს!

*იმ დილით რომ მითხრეს, წუხელ გორში სტალინის ძეგლი ჩამოაგდესო, ჯერ გავცეცხლდი, მერე კი მწარედ გამეცინა.*

*გონებაში ერთბაშად გამიცოცხლდა 1956 წლის 5-9 მარტის სისხლიანი დღეები. ასი ათასობით ადამიანთან ერთად მეც, 19 წლის ბიჭი, იქ ვიდექი, სტალინის სახელით ვიცავდი ჩემი ერის ღირსებას. 9 მარტს, შელამებულზე, ჩემ თვალწინ ეცემოდნენ რუსის ავტომატებით დაცხრილული გოგო-ბიჭები. ეს საშინელება რუსთაველის პროსპექტზე, მაშინდელი კავშირგაბმულობის სახლის წინ დაიწყო, შემდეგ კი სანაპიროზე გაგრძელდა ხოცვა-ჟლეტვა.*

**კერიები რომ ისევ ააგიზგიზა, ამას სხვა ვინ გააკეთებდა?**

**რა, აფხაზეთში, ასევე მამა-პაპის კერაზე, ქართველები ვინ ჩაასახლა, განა არ იცით?** მაგრამ შევარდნაძემ და სააკაშვილმა თავიანთი უგუნური პოლიტიკით რუსეთს რომ ჩააბარეს, ამას როგორ აღიარებენ, ეს სამშობლოს გამყიდველები.



# თქვენ იკითხეთ, თორემ სტალინს რა...

ეს იყო უპრეცედენტო მოვლენა – საბჭოთა კავშირში, მსოფლიოს რომ აზანზარებდა, ქართველებმა პირველებმა გაბედეს და ხმა აღიმაღლეს იმპერიის წინააღმდეგ.

მაშინ და ბოლომდეც მჯეროდა, რომ ქართველი ერი იქ დაღუპულთა ხსოვნას ჯეროვან პატივს მიაგებდა.

ნაძირალა ხრუშჩოვმა სტალინის ძეგლის ჭაჭანება არ დატოვა. სტალინგრადში, ნევის სანაპიროზე, სტალინის ძეგლი რომ დავინახე, შემეშინდა, იმსიმაღლე იყო, ლამის ცას სწვდებოდა. ჩამოაგდეს, ასი ათასობით სხვა ძეგლიც ჩამოყარეს, მაგრამ ფაშიზმის დამამხობელი დიდი მხედართმთავრის ღირსებას, მის სახელს, ნიჭსა და გენიას ამით არაფერი დაჰკლებია.

ის, ვინც მზეს ტალახს ესვრის, თვითონ აღმოჩნდება ლაფში. ამადაც გამეცინა მწარედ, თორემ...

ახლა თავს იმართლებენ, სტალინს ცუდის მეტი არაფერი გაუკეთებია საქართველოსთვისო. **ვაი თქვენს პატრონს ნაცებო, სტალინის აშენებულით გახდით მილიარდელები, თორემ თქვენი რაა ამქვეყნად?**

**სტალინი რომ არა, რუსთავის ნაქალაქარზე სხვა ვინ ააშენებდა თანამედროვე, 170-ათასიან ქალაქს თავისი გიგანტებით?**

**დღეს საქართველოს საზღვარი ფონიჭალასთან რომ არ გადის, ქვემო ქართლში ქართული გენი ისევ რომ ძალუმად ხმიანობს, ესეც ხომ მისი დამსახურებაა, გარდაბნის, ბოლნისის, დმანისის, თეთრი წყაროს ქართველთა ნამოსახლარებზე ქართული**

აი, მწარედ ამადაც გამეცინა, და კიდევ იმიტომაც, რომ, ეს ხომ ცნობილი ფაქტია, **საფრანგეთში ნაპოლეონის სახელის ხსენებაზე თავის დროზე თავს წააგდებინებდნენ ხოლმე, დღეს კი მისი დიდებით ამაყობს ფრანგი ხალხი.**

აკი სტალინმა იწინასწარმეტყველა კიდევაც, რომ მის სახელს ამოსვრიდნენ, მერე რა, განა მის შესახებ ყოველწლიურად ათობით წიგნი არ იწერება პლანეტის თითქმის ყველა ქვეყანაში, რომელთა უმეტესობა მიშას მფარველი მასონების მცდელობის მიუხედავად, გენიალური მხედართმთავრის და სახელმწიფოს მოღვაწის სახელს განადიდებს?

**თქვენ იკითხეთ, ბიჭებო, თქვენ, რომლებიც მხოლოდ სისხლიან კვალს ტოვებთ ყველგან, თორემ სტალინს თქვენ ვერაფერს დააკლებთ.**

**გივი ჯახუა,**
1956 წლის 9 მარტის გამოსვლის მონაწილე.

***P.S.* გუშინ ერთი ნაცნობი შემხვდა, ისე იყო შეწუხებული, შემეშინდა, რაღაც ავი ამბავი დამართნია-მეთქი. ჩემი კარის მეზობელი, – მოთქვამდასავით, – სამი დღე კარში გამოსული არ მენახა, შევიხედე, მთელი ოჯახი დედიან-შვილებიანად მისავათებულნი ეყარნენ საწოლებზე. ხალხო რა დაგემართათ, რა შეგეყარათ ეგეთი-მეთქი. ოჯახის დედამ ჩამქრალი თვალებით შემომხედა და მწარედ ამოღერღა, – სამი დღეა ბავშვებს წყალში ჩამბალ პურს ვაჭმევ, ახლა პურის ფულიც არ მაქვსო. შინ შევვარდი, თუ რამ საჭმელი მქონდა, გამოვუტანე, იმ დღის აღებული 90 ლარიდან, მეც ხომ იცით რა ხელფასი მაქვს, 20 ლარი დავუტოვე, მაგრამ ეს უშველით განა?***

***ბატონო პრეზიდენტო, თქვენ მიერ ჩატარებული თავისუფალი არჩევნებისა და დემოკრატიის ქვეყანაში დიდი ხანია შიმშილმა სტარტი აიღო. გიხაროდენ, თქვენ ხომ იმისთვის აგებთ გზებს, აშენებთ შადრევნებს, ღებავთ ფასადებს, რომ ქართველობა რაც შეიძლება სწრაფად გადაშენდეს! არც ერთი ქარხანა, არც ერთი სამუშაო ადგილი, ძირს ქართული სოფელი! ჩინებულია.***

***P.P. S. 25 ივნისს ფორუმელთა მრავალათასიან მიტინგს დავესწარი. რუსთაველზეც მათ ომახიან გუგუნს ავემგზავრე, იმედი ჩამესახა! ჯერ ვცოცხლობთ!!!***

***გ. ჯ.***

## თბილისური ეტიუდი

**ასეც ველოდით – კვირა დილას ძალიან დაიძაბა სიტუაცია „ალექსანდრეს ბაღის" „პარლამენტში" (ალტერნატიული „პარლამენტია" – „წოპეს" დაარსებული).**

ველოდით გორში მომხდარი ფაქტის გამო, სტალინის ძეგლის აღების გამო...

ახლა, პროლეტარიატის დიდი ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ყველა თავისებურად აფასებს ჩვენს ერთთავად „მოგუგუნე" „პარლამენტში", მაგრამ ბონდო ნამეტანია – სტალინის ამაგის ოდნავ გაუფასურებაზე, ერთ ბრუნდ სიტყვაზეც კი ცეცხლს ყრის თვალებიდან ეს ხანმოთეული კაცი.

– თქვენ რა იცით ბიძია, მამა დამიხვრიტა, მაგრამ მწამს, რომ მაგხელა პიროვნება კაცობრიობას არ ჰყოლია, – ჩაურთავს ხოლმე კამათში. ჰოდა, გუშინდელი ფაქტის შემდეგ რა ხასიათზე შემოუერთდება „პარლამენტს" ბონდო?..

– მოდის, მოდის, – ეშმაკურად იღიმება რამაზი – მაკვარანცხი გურული, – ჩვენ ჩუმად ვიყოთ, ვითომ, არაფერი... საინტერესოა, თვითონ თუ დაიწყებს...

ქაშუეთის ზარმა დარეკა და ჩვენთან მოსვლამდე, ვხედავთ, სამჯერ გადაიწერა პირჯვარი ბონდომ, მერე კი ხელის აწევით მოგვესალმა. რამაზი თვალს გვიკრავს. ჩვამანია ვერ ითმენს და ეკითხება: – წუხელ ტელევიზორი ხომ არ დაამტვრიე, ბონდო პატენი?

ბონდო ვითომ ვერ ხვდება საით „უკაკუნებს" სენაკელი მეგრელი:

– რატომ უნდა დამემტვრია?.. ა, სტალინის ძეგლის აღების გამო?..

ჩვენ უკვე ველოდებით სიტუაციის გამწვავებას, მაგრამ ჯერჯერობით მშვიდია ბონდო.

– ერთი მაგათი!.. ბიჭო, ჭკუას მოუხმე რა!.. დაქირავებული ხალხის საგინებელი რომ გახდა სტალინი, იმიტომაა საქმე კარგად...

ო, ტა, ტა, ტა... მოუმატა, რა მოუმატა ბონდომ, ბებიები და დედები ბავშვებს რომ ასეირნებდნენ ბაღში, ერთთავად ჩვენკენ შემობრუნდნენ.

– ასე რამ გაამწარათ, მაინც?! ბიჭო, რამდენიმე წამში ხიროსიმის მოსახლეობა ერთიანად გაწყვიტა ამერიკულმა ბომბმა, კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი – ერაყი მი-

# სტალინი, ლუდი, „ვობლა" და შავი პური



წასთან გაასწორა სააკაშვილის ძმაკაცმა ბუშმა და ვინ სთხოვს პასუხს?!

– თუკი ადგილს მოუნაცვლებენ, რა უჭირს, – ვცდილობ მე მდგომარეობის განელებას.

– კარგი რა! ესენი, აი, ნახავთ, იმ ძეგლს არსადაც არ დადგამენ!.. – შეუვალია ბონდო.

– არა, ისე, მართლა მურტალია: კარგი, სტალინის რეჟიმმა დაგვაქცია, მაგრამ მედალს ხომ ორი მხარე აქვს?.. ილია ჭავჭავაძე ვინ აღადგინა? სტალინმა, განძი საფრანგეთიდან ექვთიმე თაყაიშვილს ვინ ჩამოატანინა?.. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ვინ დააარსა?.. და, ასე, რამდენი რამ!.. შე კაი კაცო, ეგეც ითქვას!.. – ცერა თითს მაღლა სწევს ბატონი მიშა, რომელმაც ეს რამდენიმე თვეა იავადმყოფა და ახლა ისევ შემოუერთდა „პარლამენტს".

– ვინ მოგვცა კაცო ჩვენ მაგის შნო, ზუსტად ამბობს სარკასტულად ჯანსუღ ჩარკვიანი:

**„სტალინი ჩვენთვის ოსია,**
**პუტინი კიდევ ქართველი"...**

აბა, ერთი, სომხებს ჰყავდეთ ეგეთი კაცი, აქამდე ერევანში გადაასვენებდნენ მოსკოვიდან! რა უნდა ვქნათ, ისწორებს სააკაშვილი თავის „დილიხორს" და არის... ახია ჩვენზე!.. ლუდი გინდებლარიეეენ?! ცოტა ფული გამიჩნდა, – ძლივს ცვლის სასაუბრო თემას ირაკლი და ლუდი, „ვობლა" და შავი პური მოაქვს მეზობელი მარკეტიდან.

...რამდენიმე მეტრში დგას ჩვენგან ქართული პოეზიის „ლომის" გიორგი ლეონიძის ძეგლი. დავიჯერო, ოდენ „შიშის სინდრომმა" დააწერინა მას მხატვრულობის თვალსაზრისით უბრწყინვალესი პოემა „სტალინის ბავშვობა და ყრმობა"? – ვფიქრობ, ჩემთვის ლუდს ვწრუპავ და ეს სტრიქონები მახსენდება პოემიდან:

**„შენმა სახელმა ქოხიდან**
**მსოფლიოო გადაანათა!"**

ვითომ, არ არის გულით ნათქვამი?..

**ვილენ მარდალეიშვილი.**

## საქმე გამოლეულთა გასაგონად!

# შოთა ზოიძე: ჩვენი შვილები როცა გვკითხავენ...

***ნახევარი** საუკუნეა, ამ გენიალური პიროვნების სახელს ზოგი ტალახში სვრის, ზოგიც შარავანდედით მოსავს. ეს ლექსი 1962 წელს დაიწერა, მაგრამ მისი გამოქვეყნება მაშინ არ მოხერხდა. ავიწყდებათ, რომ „ვინც წარსულს დამბაჩას დაუმიზნებს, მომავალი ზარბაზნით გაეპასუხება". გორში სტალინის ძეგლი აიღეს, ხოლო თბილისი სხვათა და სხვათა ძეგლებით „დაამშვენეს". სრული ნონსენსია.*

**ჩვენი შვილები როცა გვკითხავენ,**
**ხომ უნდა ვუთხრათ შვილებს სიმართლე,**
**ის იყო წიგნი წაუკითხავი,**
**ანუ წყვდიადში მთვარის სინათლე.**

**„ივერიაში" როცა მოვიდა**
**გორიდან ანუ შუაქართლიდან,**
**ის დაიბადა როგორც პოეტი,**
**მაგრამ პოეტად თავს ის არ თვლიდა.**

**მის ცხოვრებაში იყო მომენტი,**
**რამდენს უნდოდა ეთქვა – „ხაზარდა!"**
**ის მარტო იყო როგორც პოეტი,**
**მაშინაც, როცა სიკვდილს ჩაბარდა.**

**რა საჭიროა სალამ-ქალამი,**
**და ჩემეული ფუნჯის მოსმანი.**
**მის პორტრეტს უნდა შოთას კალამი,**
**მიქელანჯელო და ფიროსმანი.**

**არ უნდა ბევრი მიეთ-მოეთი,**
**წყურვილს იკლავდა ქართულ ხელადით,**
**ჯერ დაიბადა, როგორც პოეტი**
**და მერე მოკვდა, როგორც გელადი.**

**ყველას ეგონა ზეცით მოსული,**
**მზის სხივი ციდან ჩამოტანილი,**
**მე მიყვარს იგი, როგორც სოსელო**
**და მილიონებს – როგორც სტალინი.**

**ბრძოლაში უკან როდი იხევდა,**
**რისხვად შობილი რკინისმკვნეტელთა,**
**ის დაიბადა გორის ციხესთან**
**და დაიკრძალა კრემლის კედელთან.**

**მთელი რუსეთი ახლაც მისტირის,**
**მას ვატერლოოდ ექცა კუნცევო,**
**ხელში მიჭირავს პალიმფსესტივით**
**მისი ცხოვრების სუფთა ფურცელი!**

ქ. ბათუმი. 1962 წელი

## ნიჟი სიყვარულისა

**წლების წინათ, ქართველი ებრაელების აღთქმულ ქვეყანაში ასვლის სიხარულს, საქართველოსთან განშორების ტკივილიანი სევდა ერთვოდა, რომელიც მონატრებად, სიყვარულად, მადლიერებად იქცა. ოთხი ათეული წელია ისმის ისრაელის წმინდა მიწაზე ქართული სიტყვა, ქართული სიმღერა; ცეკვავენ „ქართულს“ და „განდაგანას“; აცხობენ ხაჭაპურს, აკეთებენ ღომს და საცივს. ქართულ ენაზე წერენ ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს; უშვებენ გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს; აქვთ ქართული თეატრები, ინარჩუნებენ ქართულ გვარ-სახელებს, შვილებს ქართული „დედაენის“ მადლს აზიარებენ და ყოველივე ქართულს ელოლიავებიან.**

პოეტი ნანა შაბათაშვილი-დავარი შედარებით გვიან, 1991 წელს ავიდა საცხოვრებლად ისრაელში, მეუღლესთან და ოთხ შვილთან ერთად. **„ჩემი ფიქრის თვალსაწიერიდან ღრმა, სახიერი ლაბირინთების კორომი მოჩანს. მივდივარ იერუსალიმს... მიმაქვს სიყვარულის ორ ტოლნაწილად გაპობილი გული, 9 აპრილის ტკივილი, სრულიად საქართველოს დარდი და საწუხარი, მერაბ კოსტავას ნათელი ხსოვნა, თავისუფალი საქართველოს მზის ნედლი ანარეკლი... რას ვიზამ, იქ, ისრაელში? ერთადერთი, რაც ცოტათი მანუგეშებს ისაა, რომ სადაც არ უნდა ვიყო, ჩემი მთავარი საქმე საქართველოს სამსახური იქნება...“** — წერდა ის გამგზავრების წინ.

სწორედ იმ ორად გაპობილი გულით, თანაბარი სიყვარულით ეფერება შემდეგ თავის ლექსებში თბილისს და იერუშალაიმს, მესხეთს და სინას მთას, მასადას და მცხეთას, ბეთანიას და გეთსამანიას, იადვაშემს და ცხრა აპრილის გმირებს... ამიტომაცაა მისი პოეზია ტკივილიანი და მისი ფიქრი სევდიანი; მისი ოცნებაა ორივე სამშობლოს მშვიდობა და მთლიანობა:

**„ღმერთო დიდებულო,**
**გთხოვ, რომ შემისრულო,**
**საქართველოს და ისრაელს**
**დაუმარცხო მტერი**
**და ორივე მომავალში,**
**გაგვიხადო მთელი“...**

ნანა თბილისში, ძველი „ფეთხაინის“ უბანში გაიზარდა. წარჩინებით დაამთავრა ჯერ თბილისის №71 საშუალო სკოლა, შემდეგ — თბილისის სამედიცინო სასწავლებლის ფარმაცევტული ფაკულტეტი. მუშაობდა თბილისის №1 აფთიაქში პროვიზორის თანაშემწედ. მალე სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორადი განყოფილების იურიდიულ ფაკულტეტსაც ამთავრებს სამოქალაქო სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

ერთხანს თბილისის სახელმწიფო თოჯინების თეატრის სალიტერატურო ნაწილში მუშაობდა, შემდეგ კინოთეატრ „ყაზბეგში“ მეთოდისტად, ბოლოს მხატვრის სახლში ადმინისტრატორად...

1983 წელს ნანა შაბათაშვილი-დავარის საბავშვო სპექტაკლმა ფორე მოსულიშვილის გმირობის შესახებ, რესპუბლიკურ დათვალიერებაზე პირველი ადგილი დაიკავა. 1991 წელს კი მწერალ ომარ გოჩელაშვილის რედაქტორობით გამოიცა მისი ლექსების პირველი კრებული „ქანაანიდან... ვიდრე მცხეთამდე“.

ისტორიულ სამშობლოში ამოსვლისთანავე ქ-ნი ნანა თანამშრომლობს ისრაელში გამომავალ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „დროშა“, „ალია საქართველოდან“, „თემის მოამბე“, „ციონი“ და სხვ., სადაც სისტემატურად აქვეყნებს საინტერესო წერილებს და უძღვება სხვადასხვა რუბრიკას.



ნანა შაბათაშვილი-დავარი

# „ქანაანიდან... ვიდრე მცხეთამდე“

მოგვიანებით, ქალაქ აშდოდში, სხვა ცნობილ მოღვაწეებთან ერთად ის აყალიბებს ისრაელის ქართულ-ებრაულ სატირისა და იუმორის, მუსიკალური კომედიის თეატრს „ქნარი“.

ქ-ნი ნანა გადაღებულია ფილმებშიც: რეჟისორ პავლე ჩარკვიანის ფილმში „ჩემი საყვარელი და სანატრელი ბაბუ“ და რეჟისორ დოზერ ქოსაშვილის ფილმში „დაგვიანებული ქორწინება“.

საქართველოში გამართულ სიმღერის ფესტივალზე „ოქროს იერუშალაიმი“ ისრაელის თორმეტკაციან დელეგაციაში ნანა დავარიც იყო; ის კონკურსში მონაწილე ერთ-ერთი სიმღერის ავტორიც გახლდათ, რომელიც კომპოზიტორმა ვაჟა დურგლიშვილმა დაწერა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

**„...ვიდოდით დიდხანს, არცთუ ამაოდ,**
**და ბოლოს მაინც შენ დაგესახლეთ,**
**ჩვენო კერავ და ჩვენო კარავო**
**ქანაანიდან... ვიდრე მცხეთამდე“.**

— წერს პოეტი და, მართლაც, დღეს ის აშდოდის მკვიდრია და აქტიურად არის ჩაბმული ქართველ ებრაელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. მისი ბინის კარები ხომ ყოველთვის ღიაა საქართველოს სიყვარულით გულგამთბარი ადამიანებისთვის. მეც მქონდა ბედნიერება, პოეტ თინა შიმშილაშვილთან ერთად, მისი მასპინძლობით მესარგებლა, სადაც აშდოდში მცხოვრებ ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს შევხვდი.

„ნანას სალონი“ ასე ეძახიან მისი მეგობრები ამ თბილ კერას, სადაც ჭეშმარიტი პოეზიის და ქართული სიმღერების სალონური საღამოები ხშირად იმართება. აქვე გავიცანი მისი მშვენიერი ქალიშვილი მარი, რომელიც ოთხი თვისა წაიყვანა დედამ საქართველოდან, მაგრამ ნამდვილ ქართველად აღზარდა. მარის გასაოცარი ქართული კალიგრაფია აქვს და მხატვრობაშიც ნიჭიერად მოსინჯა ყალამი; დიასახლისობაში კი დედას ტოლს არ უდებს...

ამას წინათ, ნანა შაბათაშვილი-დავარი სპეციალური მოწვევით იმყოფებოდა საქართველოში დიასპორის და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეებთან დაკავშირებით. დატვირთული ღონისძიებების ფარგლებში საინტერესო შეხვედრები მოეწყო მთავრობის წარმომადგენლებთან, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებთან.

საქართველოს მწერალთა კავშირმა და მისმა თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა ქ-ნი ნანა დავარი კავშირის წევრად მიიღეს და დიდებული შეხვედრა-საღამო მოუწყვეს გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში. აქვე, თბილისის მერის გიგი უგულავას განკარგულებით მას „საქართველოს დესპანის“ ტიტული მიენიჭა და ოქროს მედალი გადაეცა. გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ მიერ დასტამბული „უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ 800-გვერდიანი უნიკალური გამოცემა, ამავე წიგნის იდეის ავტორმა და რედაქტორმა ვაჟა ოთარაშვილმა საჩუქრად გადასცა ქ-ნ ნანას, სადაც პოეტი ქალის რამდენიმე ლექსიც არის შესული.

გულთბილი სიტყვებით მიესალმნენ ქ-ნ ნანას დიდი ხნის უნახავი მეგობრები ნანა ჩაჩუა, ჯანსულ ჩარკვიანი, ზაირა დავარაშვილი, თინა ჭეჟია, ვაჟა დურგლიშვილი, მანანა ასათიანი, თემურ ტარტარაშვილი და სხვები.

თინა ჭეჟია თუ აქამდე ნანას გამოჩენას „სასწაულებს“ მიაწერდა და ვერავის ატანდა მისთვის დაწერილ ლექსებს, სასწაული აუხდა:

**„ყველაფერი იქით იყოს,**
**უკვე აგერ, აქა ხარ,**
**თბილისის მზემ დაგათოვა**
**თმაზე ოქროს ვარაყად“...**

თემურ დანელია, ქალაქ ნაზარეთის (ნაცერეთ-ილიტისძმოთა რუსთაველის საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარე, ნანას გვერდიდან არ მოსცილებია, მისი ყველა ვოიაჟი კამერით გადაიღო და ძვირფას მეგობარს უდიდესი თანადგომა გაუწია.

ნანა შაბათაშვილი-დავარი ცრემლებს ვერ მალავდა ქართველი ხალხის ასეთი თბილი მასპინძლობით. ეფერებოდნენ და მოკითხვას აბარებდნენ ისრაელში ჩვენს ქართველ ებრაელებთან. ნანა ლექსებით, სიმღერებით, ცრემლებით და მომავალი შეხვედრების იმედით გვემშვიდობებოდა. მალე ხომ საქართველოს მწერალთა კავშირი მისი ლექსების ახალ კრებულს გამოსცემს, რომელსაც მოუთმენლად ელოდება ქართველი და ებრაელი მკითხველი.

**ლეილა ნოდია**

## გამოფენა

# „თელასი“ მხარს უჭერს „ლაზარეს“...

**კომპანია „თელასი“ სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სასწავლო სახელოსნოების მოწყობისა და აღჭურვის პროექტის განხორციელებაში საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ ფინანსურ მხარდაჭერას უწევს.**

„თელასის“ დაფინანსებით უკვე სამი ახალი სახელოსნო გაიხსნა. შეიქმნა ერთი დამატებითი ჯგუფი ლითონისა და ხის დამუშავების ტექნოლოგიების შესასწავლად. ასევე მოეწყო და სათანადოდ აღიჭურვა სამკერვალო და სამხატვრო სახელოსნოები.

სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის პროექტს საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“ ახორციელებს. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის შენობაში ლითონისა და ხის დამუშავების ტექნოლოგიების შესასწავლად, სახელოსნოები 2006 წლის გაზაფხულზე შვეიცარიული ორგანიზაცია „Hesk-Eper“-ის თანადგომით გაიხსნა. სახელოსნოებში მოზარდებს შეუძლიათ სპეციალობებს უსასყიდლოდ დაეუფლონ. ამჟამად სხვადასხვა ხელობას 50-მდე მოზარდი ეუფლება, წარმატებული მოსწავლეების ჯგუფისთვის კი ახალი სახელოსნოები შეიქმნება, მათ ასევე ჩაუტარდებათ ბიზნეს-კურსები, რათა ახალგაზრდებმა საქმიანობა დამოუკიდებლადაც განაგრძონ.

„ლაზარეს“ სახელოსნოში სოციალურად დაუცველი ბავშვები წარმატებით ეუფლებიან სხვადასხვა პროფესიას, საზოგადოება რომ უფრო მეტად დაინტერესდეს მათი პრობლემებით, ფონდი რეგულარულად აწყობს მათი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვას, ამზადებს სატელევიზიო გადაცემებს, რაც ბავშვების სტიმულს კიდევ უფრო ზრდის.

ერთ-ერთი ასეთი გამოფენა-გაყიდვა, რომლის ორგანიზატორიც კომპანია „თელასია“, სასტუმრო „ტიფლის პალასში“ გაიმართა. „ლაზარეს“ აღსაზრდელებმა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები, ფერადი ლითონისგან დამზადებული სამკაულები, ნახატების, ქალის ტანსაცმელი და სხვა უამრავი საინტერესო და ორიგინალური ნამუშევრები წარმოადგინეს.

ამ გამოფენამ, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გაიმართა, ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ასეთი საქმის გაგრძელების აუცილებლობას „თელასის“ გენერალური დირექტორის იური პიმონოვისა და სასულიერო აკადემიის რექტორის მამა გიორგი ზვიადაძის ხანგრძლივი საუბარიც მოწმობს, რომელიც ახალგაზრდობის სულიერი სამყაროს გამდიდრებისთვის ერთობლივი ძალისხმევის გამოვლენის აუცილებლობას შეეხებოდა.





გამოფენა-გაყიდვას სასულიერო პირები და კომპანია „თელასის“ თანამშრომლები დაესწრნენ, ისინი კმაყოფილებას ვერ მალავდნენ ამ კეთილშობილური წამოწყებით, რომელშიც საკუთარი წვლილიც შეიტანეს.

საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“ 1994 წლის 1 აპრილს დაფუძნდა და ადგილობრივი და უცხოელი დონორების შემწეობებით მოღვაწეობს.

**ანა წიწილაშვილი.**
**მურად ალაშვილის ფოტო.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## საქართველოს ხელისუფლებამ სტალინის მონუმენტი აიღო

**საქართველოს ხელისუფლებამ კვირას საბჭოთა დიქტატორის და წარმოშობით ქართველის იოსებ სტალინის ძეგლი ჩამოაგდო, მონუმენტი დასავლეთ საქართველოს ქალაქ ტყიბულშიც აიღეს მას შემდეგ, რაც ორი დღით ადრე ხელისუფლებამ ჩამოაგდო სტალინის უფრო დიდი და უფრო ცნობილი მონუმენტი, რომელიც მის მშობლიურ ქალაქ გორში იდგა**

ორივე ძეგლი შუაღამით აიღეს, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ პროტესტი და მედიის ყურადღება თავიდან აეცილებინათ.

საქართველოს მთავრობა ამბობს, რომ ახალი თაობა, რომელმაც გაიზიარა თავისუფლების დასავლური იდეალები, მხარს უჭერს სტალინის მონუმენტების დემონტაჟს.

საქართველოს კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ განაცხადა, რომ მთავრობა მალე იმ ქუჩებსაც შეუცვლის სახელს, რომლებიც დღემდე სტალინის სახელს ატარებენ.

„სტალინის მემორიალს არა აქვს ადგილი 21-ე საუკუნის საქართველოში" – პარასკევს განაცხადა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. სააკაშვილის მთავრობა აცხადებს, რომ სტალინის ძეგლს გორში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა მემორიალი შეცვლის.

პროდასავლელმა სააკაშვილმა საბჭოთა ეპოქის მონუმენტების ჩამოგდება გასულ დეკემბერს დაიწყო, როდესაც ქუთაისში მეორე მსოფლიო ომის მასიური მემორიალი აიღეს, რამაც საქართველოს ოპოზიციისა და რუსეთის პროტესტი გამოიწვია.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა ამ მემორიალის უფრო მცირე ასლისთვის მოსკოვში გასულ თვეს ქვა დადო.

Associated Press

# საქართველომ სტალინი კვარცხლბეკიდან ჩამოაგდო

**პარასკევს, ჯერ გათენებული არ იყო, როცა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა გორის ცენტრალურ მოედანზე საიდუმლო ოპერაცია განახორციელეს**

დილისთვის, ქანდაკება უკვე დიდი ხნის გატანილი იყო და საქართველოს ხელისუფლებამ, რომელსაც 2008 წლის ომის შემდეგ ამ 20-ფუტიანი ძეგლის გატანა სულ უფრო მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, შვებით ამოისუნთქა, თუმცა გორში ბევრი ადამიანი, რომელიც



საბჭოთა ეპოქაში ამაყობდა იმ პატარა აგურის სახლით, სადაც იოსებ სტალინი დაიბადა და ასაკოვანი ქართველები მას დღემდე პატივს სცემენ, სხვაგვარად ფიქრობს.

„მათ ხალხის რეაქციის შეეშინდათ, სწორედ ამიტომ გააკეთეს ეს ღამით", – განაცხადა 62 წლის გოჩა სურიაშვილმა, რომელიც მეგობრებთან ერთად ცარიელი პოსტამენტის ქვეშ იდგა.

„და ახლა ვის დაუდგამენ ძეგლს?" – თქვა მოედანზე მყოფმა მეორე მამაკაცმა, 44 წლის ზაზა ბერიძემ: – „მიშა სააკაშვილს?"

მოსკოვის ბატონობისგან სიმბოლურად გათავისუფლების ნიშნად ლიდერებმა თბილისში დარჩენილი საბჭოთა მონუმენტებისგან ქვეყნის გაწმენდა გადაწყვიტეს, მაგრამ სტალინის ქანდაკება 1950-იანი წლების შემდეგ, როდესაც საბჭოთა ლიდერმა ნიკიტა ხრუშჩოვმა სტალინის „პიროვნების კულტი" ამხილა, დელიკატურ საქმედ ითვლებოდა. მართალია, ამის შემდეგ სტალინის ქანდაკებები მთელ საბჭოთა კავშირში მოხსნეს, მაგრამ ხრუშჩოვმა გორში მისი ძეგლი იმის გამო დატოვა, რომ დიქტატორს იქ განსაკუთრებულად სცემდნენ პატივს.

პარასკევს კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამ უარყო ცნობა იმის შესახებ, რომ ძეგლი საგანგებოდ მოხსნეს ჩუმად და იქ რამდენიმე კამერის ყოფნა დაიმოწმა. მან განაცხადა, რომ ქართველების უდიდესი უმრავლესობა სტალინზე მის შეხედულებას იზიარებს და თვლის, რომ ის „მასობრივი მკვლელი და პოლიტიკური დამნაშავე" იყო.

„სტალინი პოპულარულია მხოლოდ 80 წლის ადამიანებში მის მშობლიურ ქალაქში, ის საქართველოში პოპულარული არ არის", – განაცხადა მან, – „ეს არა ლოკალური, არამედ ნაციონალური პრობლემაა, ამიტომ საჭირო არ იყო არანაირი კონსულტაცია".

საქართველოს ხელისუფლება ძეგლის ადგილას მემორიალს აღმართავს, რომელსაც მიუძღვნის „საბჭოთა დიქტატურის მსხვერპლთ, სტალინის პოლიტიკის მსხვერპლთ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ და 2008 წლის ომში დაღუპულებს, მათ შორის უცხოელებსაც", – განაცხადა ბატონმა რურუამ. 2008 წლის აგვისტოში, როდესაც რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა მოედანი დაბომბეს, ჰოლანდიელი ოპერატორი დაიღუპა.

გორში ამბობენ, რომ სტალინის ქანდაკებას გორში მის მუზეუმში გადაიტანენ, სადაც აგურისგან და ხისგან აშენებული ქოხი, რომელშიც სტალინი დაიბადა, გარშემორტყმულია უზარმაზარი ბერძნულ-იტალიური პავილიონით. ბატონი რურუას თქმით, მან არაფერი იცის იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწევა ქანდაკებას.

ახალგაზრდა ადამიანებს მასზე უფრო ნეგატიური წარმოდგენა აქვთ, ვიდრე გორში. შარშან ზაფხულში ქანდაკების პოსტამენტზე ასეთი ფრაზები გაჩნდა „ჩამოდი პოსტამენტიდან!" და „შენი ადგილი მუზეუმშია!"

მიხეილ ჯერიაშვილი 19 წლისაა. ის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტია. მან განაცხადა, რომ ეს ამბავი გაუხარდა და უფრო ბედნიერი იქნებოდა, თუკი ხელისუფლება – „ამ ქანდაკებას მთლიანად მოხსნიდა, დაწვავდა და ა.შ".

„საერთოდ, მე ბედნიერი ვიქნებოდი, ის სხვა ქალაქში რომ დაბადებულიყო" – თქვა მან.

**სარა მარკუსი, ელენ ბარი**

The New York Times

## დედამიწის ზურგზე



**ფილიპინის მთავრობის ჯარებმა ხელში ჩაიგდეს მაოისტების დიდი ბანაკი**

ნახევარსაათიანი ორმხრივი სროლის დროს დაახლოებით 50 ბოევიკებთან, რომლებიც ამ ქვეყანაში მოქმედი მაოისტური ორგანიზაციის „ახალი სახალხო არმია" წევრები არიან, ჯარებმა აიძულეს ისინი გაქცეულიყვნენ გამაგრებული ბანაკიდან. ბოევიკებმა ბანაკში დატოვეს ორი მოკლული, რამდენიმე ავტომობილი და კარაბინი, ბომბები და ასაფეთქებელი ნივთიერებანი.

**იაროსლავ კაჩინსკიმ ბრალი დასდო რუსეთის ფედერაციას სმოლენსკთან ავიაკატასტროფის გამოკვლევის გაჭიანურებისთვის**

ამის შესახებ პოლონეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა განაცხადა დებატების დროს. მისმა მოწინააღმდეგემ ბრონისლავ კომოროვსკიმ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ არ ღირს უნდობლობის ატმოსფეროს შექმნა, პოლონეთშიც და რუსეთშიც ხომ მიმდინარეობს დამოუკიდებელი გამოკვლევანი.

**კანადის პოლიციამ დააკავა 600 დამრბევი ტორონტოში სამიტის შემდეგ. მედვედევმა გამოთქვა „უადგილო" სურვილი**



როდესაც კანადას ტოვებდა, დიმიტრი მედვედევმა ადგილობრივ პოლიციას უსურვა სწრაფი დასვენება – ამის შესახებ პრეზიდენტმა დაწერა მის მიერ ამას წინათ ათვისებულ მიკრობლოგში. მიუხედავად 900 მილიონი დოლარისა, რომელიც გამოყოფილი იყო უშიშროების უზრუნველსაყოფად, დაიწვა ორი პოლიციის ავტომობილი, ჩაამსხვრიეს კაფეებისა და ბანკების ვიტრინები.

**თურქეთმა ისრაელის თვითმფრინავებს აუკრძალა თავისი ტერიტორიის თავზე ფრენა**

ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქეთმა დაკეტა საჰაერო სივრცე ისრაელის თვითმფრინავებისთვის. აკრძალვა გახდა მთავრობის რეაქცია ისრაელის სპეციალური სამსახურების შეტევაზე ერთ-ერთი გემის წინააღმდეგ, რომლის დროსაც თურქეთის 8 მოქალაქე და თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ორმაგი მოქალაქეობის მქონე ერთი პირი დაიღუპა.

**ყირგიზეთის ახალ კონსტიტუციას მოქალაქეთა 90 პროცენტზე მეტმა მისცა ხმა**

მცხოვრებთა ამდენივე პროცენტი თანხმაა, მიენიჭოს დროებითი მთავრობის ხელმძღვანელს როზა ოტუმბაევას გარდამავალი პრეზიდენტის უფლებამოსილებანი –2011 წლის 31 დეკემბრამდე. ხელისუფლებამ თავის თავს მისცა კენჭისყრის შედეგების თავისუფალი შედეგების გარანტიაც, გააუქმა გამოცხადების ქვედა ზღვარი და ნება დართო მოქალაქეებს ხმა მისცენ დოკუმენტის უქონლად ნებისმიერ საარჩევნო უბანზე.





# სს „ტრესტ ქუთმშენის" განცხადება აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ

**სააქციო საზოგადოება „ტრესტ ქუთმშენის" სამეთვალყურეო საბჭო იწვევს სს „ტრესტ ქუთმშენის" (რეგისტრირებულს სასამართლოს მიერ 2005 წლის 22 ივნისს) აქციონერებს სააქციო საზოგადოების აქციონერთა კრებაზე, რომელიც გაიმართება 2010 წლის 7 ივლისს 12 საათზე, ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის V, შესახვევის №11-ში.**

**დღის წესრიგშია:**

1. დირექტორის ანგარიშის დამტკიცება;
2. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
3. სამეთვალყურეო საბჭოს შესახებ;
4. სააქციო საზოგადოების წესდების შეცვლა;
5. სს „ტრესტ ქუთმშენის" აქციონერთა სიის შესახებ;
6. სს „ტრესტ ქუთმშენის" უფასო აქციების მიღების უფლების მქონე პირთა შესახებ;
7. სხვა აქტუალური საკითხები.

აქციონერთა საერთო კრების საალრიცხვო დღეა 2010 წლის 22 მარტი.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში.

გადაწყვეტილებების მისაღებად აქციონერთა კრებას წარედგინება შემდეგი რეკომენდაციები:

1. განხილვის შედეგად სწორად და სრულყოფილად წარმოდგენილად მიჩნეული და დამაკმაყოფილებლად შეფასებული დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები დამტკიცდეს.

2. იმ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა კრების მიერ მიზანშეწონილად ჩაითვლება ან სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა გათვალისწინებულია კანონით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად არჩევისას უპირატესობა უნდა მიენიჭოთ სააქციო საზოგადოების ინტერესების მხოლოდ დამცველებსა და ერთგულებს საბუღალტრო აღრიცხვის, იურისპრუდენციის და საგადასახადო კოდექსის მცოდნეებს. კომპეტენტურ და საწარმოს ხელმძღვანელობაში გამოცდილ კადრებს, რომლებსაც აქვთ ისეთი ხედვა და კომპეტენცია, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა შეესაბამებოდეს სააქციო საზოგადოების ამოცანებს და უზრუნველყოფდეს სააქციო საზოგადოების ძირითადი მიზნის მოგების მიღებას.

3. 14 წლის წინ შედგენილ, ძალიან ძველსა და მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო სააქციო საზოგადოების წესდებაში აუცილებლად შეტანილ უნდა იქნეს შესაბამისი ცვლილებები.

4. ინტერესთა კონფლიქტის განმუხტვისა და ლეგიტიმაციის დონის ასამაღლებლად სააქციო საზოგადოების აქციონერთა სია მიზანშეწონილია დამტკიცდეს კრების მიერ.

5. უფასო აქციების მიღების უფლების მქონე პირთა რეალური რაოდენობის დასადგენად, კანონმდებლობის სრულ შესაბამისობათა და ამ პირთა ინტერესების დაცვით, გადაწყვეტილება მიიღოს კრებამ ან ამ გადაწყვეტილების მიღების უფლება მიეცეს სამეთვალყურეო საბჭოს.

დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტებების მოთხოვნა დირექტორსა და სამეთვალყურეო საბჭოსგან როგორც კრებაზე (ზეპირადძ, ასევე წერილობით. თუ ამგვარი წერილობითი მოთხოვნა წარმოდგენილ იქნა სამეთვალყურეო საბჭოში 2010 წლის 27 ივნისამდე, მასზე იქნება გაცემული პასუხი ან საკითხი შევა დღის წესრიგის დამატებით პუნქტად.

აქციონერთა კრება დახურულია და მასში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ აქციონერებს.

აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც სააქციო საზოგადოება „ტრესტ ქუთმშენის" (რეგისტრირებულს სასამართლოს მიერ 2005 წლის 22 ივნისსძ აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ 2010 წლის 22 მარტისთვის. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ ა. წ. 27 ივნისის 11 საათიდან 6 ივლისის 18 საათამდე, მისამართზე – ქუთაისი, ნიკეას ქ. №26.

აქციონერთა 2010 წლის
04 ივნისის კრების თავმჯდომარე –
**ა. ალავიძე.**
ქუთაისი, 2010 წლის 08 ივნისი.

## სერგო ზაქარიაძის მოსაგონარი

# შური და ინტრიგა გარკვეულწილად სიკვდილის შემდეგაც გაჰყვა...

## ნოსტალგია დიდი მსახიობის უთამაშებელ როლებზე



**1971 წლის დასაწყისში სოხუმის ცენტრალური, ერთადერთი ფართოფორმატიანი კინოთეატრის „აფსნის“ ფოიეში მარჯვენა კედელზე გაიხსნა საბჭოთა კინოს ვარსკვლავების სტენდი, რომელიც შემთხვევით თუ შეგნებულად სერგო ზაქარიაძის სურათით იწყებოდა (იმ ცნობილი სურათით, მერე მისი ნეკროლოგის ტექსტს რომ ახლდა...). მაშინ მე, სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე, ახალ ფილმებს კვირაში რამდენჯერმე ვნახულობდი და უშუალოდ კინოდარბაზში შესვლამდე თვალი ყოველთვის ბატონ სერგოს პორტრეტისაგან გამირბოდა, ველოდი იმ დღეს, როდესაც კიდევ ერთხელ მომიწევდა კინოდარბაზში შესვლა საყვარელი მსახიობის მონაწილეობით ახალი ფილმის სანახავად...**

სამწუხაროდ, ამგვარი მოლოდინი ორიოდე თვეში დასრულდა ბატონი სერგოს მოულოდნელი გარდაცვალების გამო. მისი სურათი კი კიდევ მრავალი წელი ამშვენებდა კინოთეატრის ფოიეს... ამ ამბიდან მალე, ზაფხულში, თბილისში ჩამოვედი და მთაწმინდაზე დიდი მსახიობის საფლავი პირველად ვინახულე. ვინახულე, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციაში ქალაქ ოსაკას სიმბოლური გასაღებიც, რომელიც ამ ქალაქის ხელმძღვანელობამ მათთან სტუმრად მყოფ ჯარისკაცის მამის შემსრულებელ მსახიობს გადასცა. არადა, თავად დიდი მსახიობის ხელოვნება, ტალანტი იყო ის გასაღები, რამაც მას არა მარტო ქართველი, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მაყურებლის გულებისაკენ ფართოდ გაუღო კარი...

ისე, თეატრისა და კინოს დიდი მსახიობი მხატვრული კითხვის დიდოსტატი, საუცხოო დეკლამატორიც იყო. მის მიერ შთაგონებით წაკითხული სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები, ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უგმიროდ“, ანა კალანდაძის „საქართველოო, ლამაზო“. ხელოვნების ყველაზე მაღალი დანიშნულების შესატყვისი მიკროსპექტაკლებია.

სერგო ზაქარიაძეს სიცოცხლის ბოლო წლებში არა თუ მთავარ როლებს აძლევდნენ, არამედ როლები უკვე სპეციალურად მისთვის – მისი გაქანების, ხასიათისა და ტემპერამენტის გათვალისწინებით იწერებოდა.

კინოში მოპოვებული პოპულარობის მიუხედავად, მისი პირველი სიყვარული თეატრი იყო, რომლის ერთგული ბოლომდე დარჩა. „ვატერლოოს“ გადაღებებზე ნაპოლეონის როლის შემსრულებელი ამერიკელი მსახიობი როდ სტაიგერი მას – ფილმში ფელდმარშალ ბლიუხერის როლის შემსრულებელს, ეუბნებოდა, რომ მსახიობმა თეატრში 45 წლამდე უნდა იმუშაოს პროფესიონალის სახელის მოსახვეჭად და მერე სცენისთვის აღარ უნდა მოსცდეს, მთელი დრო კინოს უნდა დაუთმოსო.

სერგო „ვატერლოოს“ გადაღებისას უკვე 60 წლის იყო, ახლადდანიშნული თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად და პირიქით – ყველაფერს აკეთებდა თეატრისთვის, გადაღებებზეც კი უარი თქვა, რომ მშობლიური თეატრისთვის მიეხედა და ახალ სიმაღლეებზე აეყანა ქართული თეატრალური ხელოვნება. და ეს იმ დროს, როდესაც, როგორც უკვე ითქვა, კინოსცენარები უკვე იწერებოდა მის ხასიათსა და ტემპერამენტზე „მორგებით“.

დიახ, ფენომენალური პოპულარობის პიკზე ადმინისტრაციული თანამდებობის (თეატრის დირექტორის) და სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტის დაკავების შემდეგ მან დროებით (აღმოჩნდა რომ – საბოლოოდ), უარი თქვა ახალ კინოროლებზე და მთელი თავისი ძალისხმევა მშობლიური რუსთაველის თეატრს, რუსთაველის თეატრის მფარველობის ქვეშ შესულ ახალგაზრდა რუსთავის თეატრის დასს შეალია. მას თეატრისათვის მართლაც ყველაფერი ემეტებოდა, მათ შორის საკუთარი ჯანმრთელობაც, სიცოცხლეც...

ის, თეატრზე და თავის კოლეგებზე, ახალგაზრდებზე გადაყოლილი, მათგანაც ანალოგიურ თავდადებას და გულისხმიერებას მოითხოვდა. მისთვის უცხო იყო ის ონავრული ქმედებები, რასაც ნებისმიერ თეატრში მსახიობები ხშირად იყენებენ ერთმანეთის მიმართ. იგი დიდი სერიოზულობით ეკიდებოდა თითოეული როლის შესრულებას და მისი მომზადებისას ზედმიწევნით სწავლობდა ტექსტსა და გმირის ხასიათს, საკუთარი პერსონაჟები მაყურებლებთან მარტო სცენარიდან კი არა, შესაბამისი ისტორიული ეპოქისა და ყოფის ცოდნიდანაც „მოყავდა“. ამიტომაც იყვნენ ისინი ასე დამაჯერებელნი. მაგალითად, როდესაც მეწაღე ძია შაქროს როლის შესრულება მოუწია (ოთარ მამფორიას პიესა „მეტეხის ჩრდილში“, დამდგმელი რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე, 1964 წ.), მეწაღეებთან ფეხსაცმლის დაკერებაც შეისწავლა, როდესაც მოხუცი ფოსტალიონის როლი შესთავაზა რეჟისორმა სიკო დოლიძემ („დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, 1959 წ.), მხარზე ფოსტალიონის ჩანთა გადაიკიდა და თბილისის ქუჩებში ნამდვილი ფოსტალიონივით დადიოდა, თვლიდა, რომ არ შეიძლება ნამდვილი ფოსტალიონი ხორცსავსე ყოფილიყო და თავისი სხეული გადაღებების დაწყების წინ „ნამდვილი ფოსტალიონის“ კონდიციამდე დაიყვანა – 16 კილო დაიკლო...

იგი წინ იყურებოდა, ცდილობდა დაენგრია სტერეოტიპები, მოეხდინა ქართული თეატრის რეფორმაცია, უშურველად უზიარებდა თავის უმდიდრეს გამოცდილებას და მსახიობის ოსტატობას ახალგაზრდა კოლეგებს. განზრახული ჰქონდა ორი – რუსთაველისა და რუსთავის თეატრალური დასების საფუძველზე ერთი ძლიერი დასის შეკვრა. მაგრამ, როდესაც ლაპარაკია „ნაკრებზე“, იგულისხმება, რომ ამ დროს ვიღაც აუცილებლად დარჩება მის მიღმა. ზოგადად თეატრალური სამყაროსთვის, ნებისმიერი თეატრისთვის ნამდვილად არაა უცხო ინტრიგა და რუსთაველის თეატრიც არ იყო ამ მხრივ გამონაკლისი. მსახიობები, რომლებიც ეჭვიანობდნენ, რომ თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი რუსთავის თეატრის წამყვანი მსახიობების მოწვევით რუსთაველელებს რამდენადმე უკან გადაწევდა, დაუპირისპირდა სერგოს. ამ დაპირისპირებამ ისეთი სახეც კი მიიღო, რომ ერთხელ „ფრონდირებულმა“ რუსთაველელმა მსახიობებმა რეპეტიციებზე მოსულ რუსთავის თეატრის მსახიობებს სკაბრეზული შინაარსის კვალდანატოვარი სცენა დაახვედრეს...

დაპირისპირებამ იმდენად სერიოზული სახე მიიღო, რომ სერგომ გადაწყვიტა და დაწერა კიდეც განცხადება თეატრის დირექტორობიდან წასვლაზე.

თეატრის დასიდან წასვლაზე არც უფიქრია – თეატრი მისთვის ყველაფერი იყო, უიმისოდ მისი ცხოვრება წარმოუდგენელი (თუმცა, არც თეატრიდან წასვლა იყო მისთვის უცხო. – მანამდე მას, – სახალხო არტისტს, სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, უკვე აღიარებულ მსახიობს, – ორჯერ მოუწია მარჯანიშვილის თეატრის დატოვება)... აღნიშნული დაპირისპირება (საყოველთაოდ აღიარებამდე გავლილი რთული გზისა და ტკივილების გათვალისწინებით), ბინის გამო მისთვის მიყენებული წყენა (ბინა, რომელიც მას უნდა მიეღო, რომელიღაც გენერალს მისცეს) იქცა იმ დეტონატორად, რამაც დიდი მსახიობის გული შეიწირა.

ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანწილად სწორედ ეს დაპირისპირება, აგრეთვე თეატრის დასის ერთი ნაწილის უმართებულო, უსამართლო, ზედაპირულ დასკვნებსა და ემოციებზე დამყარებული დამოკიდებულება დირექტორისადმი ამ უკანასკნელის მიერ ვითომდა პირობის შეუსრულებლობაზე მსახიობთათვის ხელფასების არსებითი მომატების თაობაზე (ლეონიდ ბრეჟნევთან ბოლო შეხვედრისას სერგო ზაქარიაძემ სთხოვა თეატრის მსახიობთათვის ხელფასების მომატება და შესაბამისი გარანტიებიც მიიღო, მაგრამ ბიუროკრატიული პროცედურების გამო ხელფასების მომატება დაგვიანდა და შესაბამისი მეტყობინება თბილისში მოსკოვიდან მხოლოდ სერგო ზაქარიაძის დაკრძალვიდან ორი დღის შემდეგ მოვიდა...) თავისი ტრაგიკული შედეგით იქცა იმ უხერხულობის სინდრომად, რომელიც დღემდე უშლის ხელს რუსთველის თეატრის დასს ღირსეულად აღნიშნოს სერგო ზაქარიაძის იუბილე, ხმამაღლა ილაპარაკოს მის ღვაწლსა და დამსახურებაზე, თუმცა საამისო მრგვალი თარიღები დიდი მსახიობის 62 წლის ასაკში გარდაცვალების შემდეგ მრავლად იყო (დაბადების 70, 75, 80, 90, 100 წლისთავი...).

შური და ინტრიგა მას გარკვეულწილად სიკვდილის შემდეგაც გაჰყვა... – უკვე მსახიობის გარდაცვალების შემდეგ, 1971 წლის შემოდგომაზე „არ დაიდარდოს“ შემოქმედებითი კოლექტივი (სცენარის ავტორი რეზო გაბრიაძე, რეჟისორი გია დანელია, ოპერატორი ვადიმ იუსოვი, მთავარი როლების შემსრულებლები სერგო ზაქარიაძე და ვახტანგ კიკაბიძე) წარადგინეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიაზე. ფილმი, რომელიც ევროპელ კინომცოდნეთა და პროფესიონალი კრიტიკოსების ვერსიით, მსოფლიოს ას საუკეთესოთა შორისაა მოხსენიებული, პრემიის მიღმა დარჩა – ჟიურის წევრებმა მას პათეტიკური სახელწოდების საბჭოური მორალისა და მართლმსაჯულების თემაზე გადაღებული მოლდავური ფილმი „ბრალი ედებათ მკვლელობაში“ ამჯობინეს...

სამწუხაროდ, სერგო ზაქარიაძეს მრავალი განუხორციელებელი კინო თუ თეატრალური როლი დარჩა... ამის ფონზე განსაკუთრებით დასანანია, რომ სხვადასხვა გარემოებათა გამო ბევრი კადრი, რომლებზეც ცოცხალი სერგოა აღბეჭდილი, დაკარგული და გაბნეულია, ან აღარ არსებობს, მათ შორის ისინიც, რომლებიც არასდროს უნახავს ქართველ მაყურებელს... მიზეზთა გამო ვერ შედგა მისი მეფე ლირი გრიგორი კოზინცევის ამავე სახელწოდების ფილმში (1969 წ.), თუმცა „ლენფილმის“ არქივებში უნდა ინახებოდეს ამ როლის სერგოსეული კინოსინჯის კადრები. „არ დაიდარდოს“ ეკრანებზე გამოსვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ სადღაც, ფილმში გადაღებულ არლეკინის ცნობილი თოჯინასავით, დაიკარგა მისი ქართული ვერსია, გახმოვანებული სერგოს განუმეორებელი ტემბრით. ფილმის რუსულ ვერსიაში ლევან ცინცაძის გმირს თავად სერგო ახმოვანებს, მაგრამ ქართული ვარიანტი, რომლის თითქმის ყოველი კადრი, პასაჟი ქართველ მაყურებელს უკვე მთლიანად ჰქონდა „დანაწილებული“ ციტატებად თუ მოარულ ფრაზებად, აგერ უკვე რამდენი წელია, აღარავის უნახავს... ქართული ტელეარხებიც კი ტრადიციულად ფილმის რუსულენოვან ვარიანტს ატრიალებენ... დიდი მსახიობის გარდაცვალებამდე სამიოდე დღით ადრე ტელევიზიაში წაშალეს ფირი, რომელზეც სპექტაკლი „ანტიგონე“ იყო ჩაწერილი. მართალია, ჯერ კიდევ სერგოს სიცოცხლეშივე, წაშლამდე, ამ ფირის ერთი ნაწყვეტის ჩვენება „მოასწრეს“ ტელევიზიით. – 1971 წლის 6 თებერვალს – მიხეილ თუმანიშვილის, თეატრისათვის ამ საეტაპო სპექტაკლის რეჟისორის დაბადების დღეზე (იმ დღეს ორმოცდაათი წლის გახდა მაესტრო). თითქმის რეფრენივით ჩამესმის სიუჟეტის წამყვანის ხმა: „მოდით, კიდევ ერთხელ ვნახოთ ნაწყვეტი სპექტაკლიდან „ანტიგონე“ სერგო ზაქარიაძისა და ზინა კვერენჩხილაძის მონაწილეობით“... რატომღაც ვერ მოესწრო სპექტაკლის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ ჩაწერა – ვერც ტელე და ვერც რადიოფირზე. ამ სპექტაკლში დაუოკებელი, იმპროვიზაციისა და ხასიათების გამოძერწვის დიდოსტატი სერგო ზაქარიაძე ქართველი გლეხის აგაბო ბოგვერაძის როლში მართლაცდა, იგავმიუწვდომელი იყო; ამ სახით საკავშირო პრიზის მიღებაც მოასწრო მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის. მარტო ამ სპექტაკლის სრული ვიდეოჩანაწერი რომ შემორჩენილიყო, სერგოს სახელი და დიდება, ხსოვნა კიდევ უფრო ძალუმი, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებისთვის (მსახიობებისთვის და მაყურებლებისთვის) უფრო თვალსაჩინო და სამაგალითო იქნებოდა. აი, რა ძალა აქვს გადაღებულ ფირს! ის მის უშუალო მონაწილესაც ძალუმად ახსენებს წარსულს და არ აძლევს დავიწყების საშუალებას. აგაბო ბოგვერაძის გმირი გაცილებით მსხვილკალიბრიანი იყო, ვიდრე მაგალითად, ძია შაქრო სპექტაკლიდან „მეტეხის ჩრდილში“, რადგანაც სიუჟეტი მთლიანად ამ პერსონაჟზე და მასთან ოჯახის წევრების ურთიერთობაზე იყო აგებული. მაგრამ „მეტეხის ჩრდილის“ ფრაგმენტები შემონახულია და მაყურებლები მათი მეშვეობით ეცნობიან დიდი მსახიობის ხელოვნებას. ამ სპექტაკლში ძია შაქროს სიძის – როლის შემსრულებელი ჯემალ ღაღანიძეც კი თავის ინტერვიუებში ხშირად იხსენიებს თავის როლს, მაგრამ ის სპექტაკლს „სანამ ურემი გადაბრუნდება“, სადაც ბატონი ჯემალი აგაბოს ერთ-ერთი შვილის როლს თამაშობს, არ თუ ვერ იხსენებს... აი, სპექტაკლის ფირი შემორჩენილი რომ ყოფილიყო, მაშინ სხვა საქმეა...

1970 წლის 21 აპრილს მოსკოვში კრემლის ყრილობათა დიდ დარბაზში ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საზეიმო კონცერტი გაიმართა, რომელშიც მაშინდელი მოკავშირე რესპუბლიკების ყველა წარმომადგენელი, მათ შორის სამი ქართველი – სერგო ზაქარიაძე, პეტრე ამირანაშვილი და ზურაბ სოტკილავა მონაწილეობდნენ (კონცერტის რეჟისორიც ქართული წარმომავლობის იოსებ თუმანიშვილი იყო, ხოლო ერთ-ერთი მუსიკალური ნომრის ავტორი კომპოზიტორი – გორელი ვანო მურადელი). ამ კონცერტზე სერგოს ლექსიც წაუკითხია ქართულად... არ შეიძლება, რომ მაშინდელი საკავშირო პირველი არხის არქივში არ ინახებოდეს ამ კონცერტის ჩანაწერი. იქნებ, მოსკოვში მცხოვრებ ბატონ ზურაბ სოტკილავას ეტვირთა ამ ფირის მოძებნის მისია...

ანალოგიურის თქმა შეიძლება რუსთაველის თეატრის გასტროლებზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში 1970 წლის მაის-ივნისში. თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს იმ დღეებში უხდებოდა მრავალრიცხოვანი ინტერვიუების მიცემა, მათ შორის ადგილობრივი ტელევიზიებისათვის. აი, ამ ქვეყნებში ჩვენი საელჩოები რომ დაინტერესდნენ მაშინდელი ადგილობრივი კინო და ტელეარქივებით, დარწმუნებული ვარ, სერგო ზაქარიაძეზე ბევრ საინტერესო და უნიკალურ კადრს „დაუბრუნებენ“ ქართველ მაყურებლებს.

1970 წლის ბოლოს საფრანგეთში გაიმართა ქართული კულტურის ერთთვიური. მაშინ პარიზში სცენიდან ანსამბლ „გორდელას“ მიერ უკვდავი საგალობლის „შენ ხარ ვენახის“ შესრულების ფონზე სერგო ზაქარიაძემ შთამაგონებლად აზიარა ფრანგი მაყურებელი ქართულ პოეზიას. ბატონი ანზორ ერქომაიშვილი მაშინ ამ ანსამბლის წევრი იყო და კარგად უნდა ახსოვდეს მაშინდელი საღამოს დეტალები... იქნებ, კინო და ფოტოკადრებიც მოიძიოს...

ნუთუ დიდი მსახიობის შეპერაზადას ზღაპარივით ყველაზე საინტერესო ადგილზე შეწყვეტილი ცხოვრების „ევროპული (და არა მარტო) ნაკვალევის“ მოსაძიებლად ახალი რეზო თაბუკაშვილია საჭირო?!.

**იოსებ არჩვაძე**





№ 120. სამშაბათი, 29 ივნისი, 2010 წელი.

ფეხბურთი

# დალაქული ფორუმი

**ტექნიკური პროგრესის ეპოქაში სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ის ძველმოდური დამოკიდებულება საქმისადმი, როგორსაც ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი იჩენს.**

უკვე რახანია, სადავო ეპიზოდებისას, ჭეშმარიტებამ რომ იზეიმოს, ვიდეოთვალის ან მეოთხე — დამხმარე მსაჯის დანერგვას ურჩევენ, მაგრამ აქაოდა ყველაზე კონსერვატორული, ტრადიციების ერთგული ორგანიზაცია ვართო, შვეიცარიელი დოქტორი ყურსაც არ იბერტყავს. არბიტრიც ადამიანია, მისი შეცდომები კი, მოთამაშეებისა არ იყოს, ფეხბურთის შემადგენელი ნაწილიაო — დაუჟინია მას. ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, სპორტის სხვა სახეობათა ფედერაციების მესვეურნი, ვინც სტერეოტიპების მსხვრევის უფლება მისცეს საკუთარ თავს (მაგალითად — რაგბი), მოსაკვეთნი ყოფილან. კიდევ კარგი, რომ ყველა ასე არ აზროვნებს.



ასეთი შესავლისკენ სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მუნდიალზე კვირას გამართულ მერვედფინალურ შეხვედრებში მომხდარმა სკანდალურმა ფაქტებმა გვიბიძგა. ჯერ იყო და გერმანია — ინგლისის ზეპრინციპული დუელის საკვანძო ეპიზოდში, როცა კატასტროფული დებიუტისა და 0:2-ის შემდეგ აფსონმა ზუსტი თავურით კუნძულელებს ხსნის იმედი გაუღვივა, ურუგვაელ მსაჯთა ბრიგადამ ლარიონდას თავკაცობით ვერ (თუ არ?) შენიშნა, რამხელა მარაგით გადაკვეთა ბურთმა ლამპარდის დარტყმის შემდეგ ნოიერის კარის ხაზი, ხოლო ღამის ბრძოლაში არგენტინა — მექსიკა უკვე იტალიელ შაოსანთა (რეფერი — როზეტი) ჯერი დადგა, რომლებმაც ტევესის მიერ აშკარა თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი პირველი გოლი ჩათვალეს და მარადონას გუნდს გადამწყვეტი ფორა მისცეს. დასანანია, რომ ასეთმა უხეშმა შეცდომებმა უმაღლესი დონის სპექტაკლები გააფერმკრთალა, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ გამარჯვებულმა გერმანიამ და არგენტინამ, საბოლოო ჯამში, ღირსეულად სძლიეს მეტოქეებს და დამსახურებულად გავიდნენ მორიგ ეტაპზე, სადაც ერთმანეთთან მოუწევთ დაპირისპირება.

ალბათ, ევროპული პლეი-ოფის მსვლელობისას სტაჟიან გულშემატკივრებს 1966 წელი და ბაქოელი ლაინსმენი ტოფიკ ბახრამოვი გაახსენდათ, რომელმაც შვეიცარიელ კოლეგას გოტფრიდ დინსტს არარსებული გოლი ჩაათვლევინა და ალბიონელებს ჯერჯერობით ერთადერთი ტიტული უფეშქაშა. მიდი და თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგაც ნუ ირწმუნებ, რომ ბუნებაში უკვალოდ არაფერი იკარგება.

რაც შეეხება ჩვენი წერილის შესავალში ნახსენებ ფიფას თავკაცს, მამა აბრამის ბატკანივით რომ გამოიყურება, ნუ გეგონებათ, რომ უცოდველი კრავია. ერთმა დაფასებულმა ტელეჟურნალისტმა და უფროსმა მეგობარმა ამასწინანდელი შეხვედრისას მისი ბიოგრაფიის სასახელო ფურცელი გადამიშალა: თურმე, მიუნხენის ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირის ფინალური შეხვედრის სამდივნოს უფროსი სწორედ ბლატერი ყოფილა და მისი დიდი დამსახურებაა, უსაშველოდ რომ გაიწელა ძირითადი დროის უკანასკნელი წამები და საფინალო სასტვენი მხოლოდ მას შემდეგ გაისმა, რაც ალექსანდრე ბელოვმა მანამდე დაუმარცხებელ ამერიკელებს „ოქროს ბურთი“ ჩაუგდო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მაფია მართლაც რომ უკვდავია.

**გიორგი შოთაძე**

საად ერეკლე...

# როცა ერთი მკვდარი ბევრ ცოცხალს სჯობს

**„გამონაცებულ“ საქართველოში ახალი ეპიდემია გაჩნდა. იგი ფიზიკურად, ერთი შეხედვით, არავის ემუქრება, მაგრამ საზოგადოებისათვის მიყენებული ფსიქოლოგიური ზიანის გათვალისწინებით უდიდეს მორალურ საფრთხეს შეიცავს.**

**კაცობრიობის უბოროტეს მტერზე — ფაშიზმზე გამარჯვების 65-ე წლისთავზე მძლეთამძლე გენერალისიმუსის სამშობლოში ბედის უკუღმართობით დაბადებულმა მისივე ქონდრისკაცმა თანამემამულეებმა ბელადის ძეგლის აღება დაიწყეს. ისე როგორ იქნებოდა, სხვებისთვის მაგალითი გორელებს რომ არ მიეცათ, სადაც სოსელოს აკვანი დაირწა. ჰოდა, დუჟმორეულმა „ფიურერამ“, ცოცხალ მეტოქეებზე მხოლოდ სიტყვიერი ბოლმის ნთხევის უნარი რომ გააჩნია, სამაგალითოდ დააფასა შიდა ქართლის გუბერნატორის, ნაციონალური ბაცილით დასნებოვნებული მამალი თანაპარტიელის ლადო ვარძელაშვილის „ნაკაიკაცარი“ და მინისტრის პორტფელი უბოძა.**



**პატრიოტული ბანაკების კურატორობით გამორჩეული პირტიტველა ყმაწვილისთვის ახალგაზრდული, ანუ ბუჩქ-ბუჩქა საქმეების გაძღოლა დიახაც რომ უნდა ჩაებარებინათ, მაგრამ რით დაიმსახურა სპორტული სამყაროს მესვეურობა, ვერაფერს გეტყვით. ალბათ, თუ თავმოყვარეობა გააჩნია, თვითონაც გაუჭირდება ახსნას, თუ რის გამო დააწინაურეს.**

**ჯაჭვური რეაქციისა არ იყოს, ქართლის გულიდან ესტაფეტა იმერლებმა აიტაცეს — მეორე დღეს იოსებ ბესარიონის ძის ქანდაკებას ტყიბულელებიც შეელივნენ (თუმცა, ჰკითხა კი მათ ვინმემ რამე?). საინტერესოა, იქაურ დამანგრეველთათვის როგორი ჯილდო აქვს ჩაფიქრებული თანამედროვეობის სწორუპოვარ მხედართმთავარს.**

**გია პლატონიშვილი**

ჩოგბურთი

# „რენას და დათოს“ თასზე



**„დინამოს“ კორტებზე დამთავრდა „რენას და დათოს“ თასის გათამაშება, რომელშიც 12 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.**

16-წლიანებში პირველი ადგილი ნიკა დოლიძემ დაიკავა, რომელმაც ფინალში მიხეილ ხმიადაშვილი დაამარცხა — 7:6, 6:7, 7:6; გოგონებში წარმატება მოსკოველ თამარ ფიჩხაძეს ხვდა, მან გადამწყვეტ პაექრობაში ანი გოგვაძეს აჯობა — 6:2, 6:3. სამაგიეროდ, წყვილებში გოგვაძისა და ბარბარე ერისთავის დუეტმა ფიჩხაძესა და ალინა ზუბკოვას (ბელორუსია) სძლია — 6:3, 7:6. ვაჟთა წყვილებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ნიკა დოლიძე და ლუკა ფილფანი ავიდნენ.

14-წლიანებში შოთა მეფარიძემ ფინალი სომეხ მიქაელ ავეტისიანთან დათმო — 1:6, 3:6, ხოლო გოგონებში პირველობა ოლგა შარიპოვას (რუსეთი) ერგო. წყვილებში მარიამ დგებუაძე — ლიზი ნადიბაიძის და მიქაელ ავეტისიანი (სომხეთი) — ბორის პოკოტილოვის (რუსეთი) დუეტებმა გაიმარჯვეს.



**გიორგი გაგუა**

**სურათზე: თამარ ფიჩხაძე; ანი გოგვაძე (მარცხნივ) და ბარბარე ერისთავი.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ძიუდო

# კადეტთა ორი ჯილდო



**ჩეხურ ტეპლიცეში გასულ უქმეებზე კადეტ ძიუდოისტთა ევროპის პირველობა გაიმართა.** შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრებიც გამოდიოდა რამაზ ჩოჩიშვილის ხელმძღვანელობით. 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლაშა ტაველურმა ფინალამდე მიაღწია, იქ კი პოლონელ მარტინ გმურეკთან დამარცხდა და მეორე ადგილი დაიკავა. 60 კილოში მოასპარეზე მიხეილ მეზურნიშვილი „ბრინჯაოს“ დასჯერდა. დანარჩენი ქართველი მოჭიდავეები კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ.

კრივი

## იღბლიანი ლვოვის რინგი





**საქართველოს ჭაბუკმა მოკრივეებმა წარმატებით იასპარეზეს უკრაინის ქალაქ ლვოვში დასრულებულ ევროპის პირველობაზე — ჩვენებურებმა ერთი ოქროს და ორი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.**

განსაკუთრებით ალექსანდრე დოკვაძემ (80კ) იყოჩაღა. პირველ წრეში მან ხორვატი იოზეფ გრანიჩი ჩამოიცილა გზიდან, შემდეგ რუმინელ მარიან პრედას სძლია, ნახევარფინალში რუს ივან ხახატოვს აჯობა, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი უკრაინელ ბოგდან ბლაჟკოს მოუგო და ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი.

მიზანთან ახლოს იყვნენ ჯემალ შალამბერიძე (54კ) და ბერიკა მხეცაძე (70კ), მაგრამ ისინი ნახევარფინალში, შესაბამისად, აზერბაიჯანელ ალიმ აბასოვთან და უკრაინელ ლეონიდ სინანთან დამარცხდნენ და „ბრინჯაოს“ დასჯერდნენ.

ინტერნეტიდან

## პრეზიდენტის ლოცვა დაეხმარათ?



**გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატზე მერვედფინალში აშშ ნაკრების დამარცხებაში განელ ფეხბურთელებს დაეხმარა ამ ქვეყნის პრეზიდენტის ჯონ ატა მილას ლოცვა. პრეზიდენტი ნაკრებს გასახდელში ეწვია, დაარიგა ფეხბურთელები და მათთან ერთად ილოცა.**

განის ფეხბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის ფრედ პაოლას თქმით, ამ ვიზიტმა დადებითად იმოქმედა მოთამაშეების საბრძოლო სულისკვეთებაზე.

„ჩვენ მუდამ ვლოცულობთ თამაშის წინ, ზოგჯერ ავტობუსშიც, სასტუმროშიც და მინდორზეც კი ყოველი ტაიმის შემდეგ. თუმცა პრეზიდენტისა და ზეპ ბლატერის სტუმრობა უდიდესი სტიმული იყო გუნდისთვის“, — თქვა მან.

ახლა განის ნაკრები უდიდეს ზეწოლას განიცდის, რადგან ის ერთადერთი აფრიკული ნაკრებია ჩემპიონატზე. უფრო იოლი იქნებოდა, „შავი კონტინენტის“ კიდევ ერთი გუნდიც რომ თამაშობდეს ჩვენი ღირსების დასაცავად — ითქვა ესეც.

## გაიმარჯვა ფეტელმა

**„ფორმულა-1“-ის მსოფლიო ჩემპიონატის მეცხრე ეტაპზე „ევროპის გრან-პრი“ ესპანეთის ვალენსიაში კვირას გაიმარჯვა „რედ ბულის“ პილოტმა სებასტიან ფეტელმა. ეს მისი მეორე წარმატებაა წლევანდელ სეზონში და მეშვიდე — კარიერაში.**

პოდიუმზე მასთან ერთად ავიდნენ „მაკლარენას“ მრბოლები ლუის ჰემილტონი და ჯენსონ ბატონი.



საერთო ჩათვლაში ლიდერობა შეინარჩუნა ჰემილტონმა (127 ქულა), ფეტელმა კი მესამე ადგილზე გადაინაცვლა (115კ), გადაასწრო რა ფერნანდო ალონსოს „ფერარიდან“ (96კ) და თავის თანაგუნდელ მარკ უებერს (103კ).

## ფრემაც გაახარა



**ცნობილი ფეხბურთელის რონალდოს ყოფილმა საცოლემ და ბრაზილიის ნაკრების მეკარის ჟულიო სეზარის ახლანდელმა ცოლმა სიუზანა ვერნერმა გაიხარა ევროპელ „ბრაზილიელებთან“ — პორტუგალიელებთან ნათამაშები ფრეთი.**

თავისი მოსაზრებანი ლამაზმანმა პრესას გაუმხილა. ბუნებრივია, ის, როგორც „პენტაკამპეონების“ სხვა გულშემატკივრები, ღელავდა გუნდზე და პირველ რიგში, მათ მეკარეზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჟულიო სეზარი შეეჯახა მეტოქეს და წაიქცა. სიუზანას თქმით, მას ტელევიზორის ყურებაც კი აღარ უნდოდა. ერთი სიტყვით, სიუზანა კმაყოფილი დარჩა ანგარიშით 0:0, რაც მეკარის დამსახურებადაც მიაჩნია.

ჩვენი კარაბადინი

# ცხოვრება შიმშილით?

**დაქალი ოცნებობს, რომ გახდეს. ამ ბოლო ხანებში კი დაიწყო ეგრეთ წოდებული შიმშილით „მკურნალობა“. არ არის ეს სახიფათო?**

**ქეთი, ქუთაისი**

**გვიპასუხებს ექიმი-დიეტოლოგი ნანა თედიაშვილი:**

— შიმშილის ულუფით ცხოვრება არა თუ არ ამცირებს, პირიქით, ახდენს ცხიმოვანი უჯრედების დაგროვების პროვოცირებას, რაც არსებითად ორგანიზმის დაცვითი რეაქციაა რაციონში უჩვეულო ცვლილებებზე. ორგანიზმი თითქოს ყვირის: „ცუდ დღეში ვარ!“ მისი ფერმენტული სისტემა იწყებს „თადარიგზე“ მუშაობას, ააქტიურებს ცხიმის ინტენსიური დაგროვების მექანიზმს. ამ დროს ორგანიზმისთვის სულ ერთია: ამას სიკეთის მიზნით უკეთებენ თუ, პირიქით. მისთვის შიმშილობა ძლიერი სტრესია.

განსაკუთრებით, თუ გახდომის მსურველი ქალი საერთოდ უარს ამბობს ჭამაზე. შიმშილის დროს ორგანიზმი კარგავს ბევრ სითხეს, ირღვევა წყალმარილების ცვლა, ჩნდება თრომბის წარმოქმნის რისკი (სისხლის შედედების ხარჯზეძ, ვითარდება შინაგანი ორგანოებისა და ძსოვილების დისტროფია, იზრდება ისეთ სნეულებათა განვითარების რისკი, როგორებიცაა ნიკრისის ქარი, ართროზი, შაქრის დიაბეტი, შარდკენჭოვანი დაავადება და სხვა. ღირს კი განა საკუთარი ბუნების მოტყუება? მეცნიერული მონაცემების თანახმად, 40 ათასი ქალიდან მხოლოდ ერთი შეიძლება შეესაბამებოდეს ტოპ-მოდელის პარამეტრებს. გენეტიკის კანონების შეცვლა შეიძლება მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობის ფასად — ენდოკრინული, გულ-სისხლძარღვთა, იმუნური სისტემის მოშლით.

## რაზე ყვირის ჩვილი



**მოწყობილობა, რომელიც მშობლებს უამბობს, თუ რაზე ტირის მათი ბავშვი, გამოიგონეს იაპონელებმა. სპეციალური პროგრამა აანალიზებს ხმებს, რომლებსაც ჩვილები გამოსცემენ, და განსაზღვრავს, თუ როდის ტირის ბავშვი ტკივილის გამო.** ვარაუდობენ, რომ მომავალში პორტატიული მოწყობილობანი ამოიცნობენ შიმშილის, შიშისა და სხვა ემოციებს. და შესრულდება დედებისა და მამების ოცნება, რომლებსაც მთელი ღამეები არ სძინავთ, თავს იმტვრევენ, რომ ამოიცნონ, თუ რატომ ტირის მათი პატარა.

## როგორ ჩავისახოთ ბიჭი?

**მაღალკალორიული დიეტების ფონზე ქალებს უფრო ხშირად ჩაესახებათ ბიჭები, დაბალკალორიულის დროს — გოგონები, დაადგინეს ამერიკელმა მეცნიერებმა. დედის საშოში ბიჭები უფრო სუსტები არიან, ამიტომ მათ გადარჩენისთვის სჭირდებათ მეტი ენერგია და საკვები ნივთიერებანი.**

მეცნიერებმა შეისწავლეს გენები თაგვების პლაცენტში და დაადგინეს, რომ არსებობს სხვაობა ჯგუფებში, რომლებიც იკვებებიან ნორმალურად, კალორიების მაღალი და დაბალი შემცველობით. დედის პლაცენტა ესადაგება კონკრეტულ პირობებს, ეს კი გავლენას ახდენს ჩანასახის სქესზე. დიეტა „ბიჭებისთვის“, მეცნიერების აზრით, მაღალკალორიული პროდუქტების გარდა, უნდა შეიცავდეს ბევრ კალიუმს, გ, ე და ბ 12 ვიტამინებს. ქალებს რეკომენდაციებს აძლევენ კარგად ისაუზმონ, რათა აამაღლონ საკვების სადღეღამისო კალორიულობა.

## ერთი სიტყვა – დენდი



**მოთხოვნა კოსმეტიკურ პროდუქტებზე მამაკაცებისთვის ორჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ქალებისთვის, აჩვენეს ბრიტანეთში მოწყობილმა მარკეტინგულმა გამოკვლევებმა.**

თავისი გარეგნობისადმი ასეთი ყურადღების მთავარ მოტივად მამაკაცებმა დაასახელეს მისწრაფება — მოახდინონ კარგი შთაბეჭდილება, მაგრამ არა ქალებზე, არამედ... სამუშაოზე დაქირავების კადრებისა და სააგენტოების განყოფილებებზე. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ეკონომიკური კრიზისის პირობებში ხალხს ეშინია, არ გამოიყურებოდეს ხანდაზმულად.

ბრიტანელი მამაკაცების ნახევარზე მეტი ყოველდღიურად იყენებს ამა თუ იმ სახეობის კოსმეტიკურ პროდუქტს, გაპარსვის შემდეგ ტრადიციული ლოსიონის გარდა. ყოველი მეხუთე ბრიტანელი მამაკაცი იყენებს საღებავს თმებისთვის, რომ დამალოს ჭაღარა. მამაკაცების ერთი მეოთხედი ყოველდღიურად იყენებს საცხს სახის კანისთვის.

## ლა-მანშის სხვადასხვა ნაპირზე



**ფრანგები გაცილებით ნაკლებ დროს ატარებენ სამზარეულოში, ვიდრე მათი მეზობლები ლა-მანშს გადაღმა. ეს აჩვენა გამოკითხვამ, რომელიც პოპულარულმა გამოცემამ „მადამ ფიგარომ“ მოაწყო თავის მკითხველებს შორის.**

მაგალითად, ბრიტანელების 72 პროცენტმა აღიარა, რომ საჭმელს სახლში აკეთებს ყოველდღე, ფრანგებს შორის კი ასეთები 59 პროცენტია. ინგლისელები საჭმლის მომზადებას უთმობს სულ ცოტა 30 წუთს. მაგრამ რესპუბლიკის მოქალაქეთა მხოლოდ მესამედია მზად მისცეს თავს ასეთი „ფუფუნების“ ნება.

სამაგიეროდ ფრანგები უფრო ხშირად დადიან რესტორნებში — საშუალოდ სამჯერ თვეში, ბრიტანელების ორის საპირისპიროდ. აქვე იმალება მთავარი სხვაობა ამ ორ ერს შორის — თუ ბრიტანელები ადვილად ეგუებიან სხვა ქვეყნების სამზარეულოებს, მაგალითად, ინდურისას, ჩინურისას, იტალიურისას, ფრანგები უპირატესობას ეროვნულ კერძებს ანიჭებენ. დაბოლოს, ბევრი ბრიტანელი ფრანგული კულინარიის თაყვანისმცემელია, ფრანგებისთვის კი ინგლისური სამზარეულო საერთოდ არ არსებობს.

ЗДОРОВЬЕ

ხსოვნა

# გივი ბენდუქიძე



ჩვენმა კლასმა აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. ეს უკვე მეთხუთმეტე წავიდა ჩვენგან. ჩვენი გივი ბენდუქიძე — ადამიანი, რომელზეც ამბობენ, კაცური კაციაო, სწორედ ასეთი იყო, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება წესიერებას, უმანკოებას და პატიოსნებას მოახმარა. იყო ძლიერი სპეციალისტი, ერთგული მეოჯახე და კარგი მეგობარი. ჩვენს მეგობრობას საფუძველი ჩაეყარა 1949 წლის 1 სექტემბერს რკინიგზის №1 საშუალო სკოლაში ქ-ნი თამარ კახიძის დამრიგებლობით, რომელიც 1959 წელს დავამთავრეთ, და ეს მეგობრობა მთელი შეგნებული ცხოვრება გამოგვყვა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა გამოთვლითი მანქანების ცენტრალურ რესპუბლიკურ სამმართველოში დირექტორის მოადგილედ, სადაც საკმაოდ დიდი კვალი დატოვა.

საქართველოს ტელევიზიის ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ, სათავეში ჩაუდგა დაააწყო საქართველოს ტელევიზიის მთელი ტექნიკური მხარე, რომელიც არ დაუფასდა — ჯან-ღონით სავსე ადამიანი (როგორც საკმაოდ ბევრი მისთანაძ ტელევიზიის გარეშე დარჩა, ურომლისოდაც მას სიცოცხლე არ შეეძლო.

რამდენს ვამხნევებდით, გვერდით ვედექით, მაგრამ ეს ტკივილი ვერ მოინელა.

გივის გული გაუსკდა, ის გული, რომელიც ალბათ მთელი ქვეყნის სიყვარულს იტევდა.

მშვიდობით გივუს, მსუბუქი იყოს შენთვის შენი საყვარელი საქართველოს მიწა. უფალმა შეიწყალოს სული შენი.

თანაკლასელები

# „თბილისის“ ერთ-ერთი მესაძირკვლე

## ანდრო ბოჭოიძე



გარდაიცვალა გაზეთ „თბილისის“ რედაქციის უხუცესი თანამშრომელი, მისი პირველი თაობის წარმომადგენელი, მთავარი მხატვარი, ილუსტრაციის განყოფილების გამგე ანდრო ბოჭოიძე, რომელიც ფუნჯითა და ყალმით თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურა გაზეთის მხატვრული დონის ამაღლებას. მკითხველს კარგად ახსოვს მისი გრაფიკული თუ ფერწერული ნამუშევრები, გამოჩენილი ადამიანების პორტრეტები, ჩანახატები, რომლებიც სისტემატურად ქვეყნდებოდა როგორც „თბილისის“, ისე ქვეყნის სხვა პერიოდული გამოცემების ფურცლებზე. ეამაყებოდა, რომ იყო აღდგენილი „თბილისის“ ერთ-ერთი მესაძირკვლე, მისი პირველი ნომრის გამოცემის უშუალო მონაწილე. ამიტომაც მწარედ განიცდიდა, იმ ქვეყნად ტკივილიან მოგონებად გაჰყვა უსახსრობის გამო ერთ დროს მკითხველისთვის ფრიად საყვარელი გაზეთის დახურვა.

იყო ჩინებული მეოჯახე, გულდათუთქული დატოვა ხანგრძლივი ცხოვრების ერთგული და მოსიყვარულე თანამგზავრი — მეუღლე ქალბატონი ნათელა, შესანიშნავი შვილები — ნუკრი, მარინე. სამწუხაროდ, მათს შთამომავლობას ვერ მოესწრო.

მის ხანგრძლივ უმწიკვლო, ნაყოფიერ შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია, დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, მიღებული ჰქონდა არაერთი საპატიო ჯილდო.

კეთილშობილი, უბოროტო პიროვნების — ანდრო ბოჭოიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება ჭირისუფლების, ახლო ნათესავების, კოლეგების, მეგობრების ხსოვნაში.

„თბილისელები“

ინფორმაცია

# შირაქს თაგვი შეესია

**დედოფლისწყაროს რაიონში ხორბლის ყანებს უკუდო თაგვი შეესია, რომელიც შემოსულ მოსავალს ანადგურებს. ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრს ფერმერმა ელიზბარ იმერლიშვილმა აცნობა. მისი თქმით, მღრღნელი ერთ დღეში ანადგურებს მოსავლის იმ ნაწილს, რასაც ჩვეულებრივი თაგვი მთელი წლის მანძილზე.**

ამ ინფორმაციას ადასტურებენ ის კომბაინერებიც, რომლებიც ალაზნის პირას მდებარე ყანებს მკიან.

ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვისა და სურსათის უვნებლობის სამსახურის დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს უფროსის მერაბ ალადაშვილის განცხადებით, ჯერჯერობით უცნობია, რა სახეობის თაგვი გავრცელდა.

— მართალია თაგვი მოსავალს სწრაფად ანადგურებს, მაგრამ ამ ეტაპზე პრევენციული ღონისძიებების გატარება შეუძლებელია, რადგან ალოობა უკვე დაწყებულია. თაგვის საწინააღმდეგო ღონისძიებები შემოდგომაზე გატარდება, — განუცხადა ალადაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

ფერმერები სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან დროულ დახმარებას ითხოვენ.

ჯი-ეიჩ-ენი

მეუღლე ლამარა, ცოლისდა ნანა ჭიჭინაძეები, შვილები გია, გოჩა ნიკვაშვილები, რძალი მაია ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუგზარ გიორგის ძე ნიკვაშვილი

გამოსვენება 29 VI, 14 სთ. დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიიდან.

---

უახლოესი მეგობრები მურმან ასათიანი, დენი გოგორელიანი, ვალიკო გურგენიძე, იასონ გრიგოლია, თამაზ კაპანაძე, ამირან მაჩაიძე, თენგიზ ნიკიფი, ალიკა რატიანი, ჯემალ ხაზარაძე, ვიქტორ და ჯემალ ჭუმბურიძეები, მურთაზ ჩიხლაძე, ანზორ არველაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვაჟა გერსამია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე თემურ სამნიაშვილი, შვილები ქეთინო, მაკა სამნიაშვილები იუწყებიან მეუღლისა და დედის

ცისანა ინჯიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30 VI, 17 სთ. გამოსვენება 1 VII, 14 სთ. მის. თბილისი, ვარკეთილი, ჯავახეთის ქ. კორპუსი 10. ბინა 24.

---

ფრიდონ, დავით, დემურ, სოსო, მზია ინჯიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბიძაშვილის

ცისანა ინჯიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შპს „ფოპტნეტის“ და „სისტემნეტის“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ფრიდონ, დავით და დემურ ინჯიებს და ქალბატონ მზია ინჯიას ბიძაშვილის, ქალბატონ

ცისანა ინჯიას

გარდაცვალების გამო.

---

შპს „ახალი ქსელებისა“ და „ახტელის“ ადმინისტრაციის ყველა თანამშრომლი თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ფრიდონ და დავით ინჯიებს და ქალბატონ მზია ინჯიას ბიძაშვილის, ქალბატონ

ცისანა ინჯიას

გარდაცვალების გამო.

---

შპს „ახალი ქსელებისა“ და „ახტელის“ ადმინისტრაციის ყველა თანამშრომლი თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ფრიდონ, დავით და დემურ ინჯიებს და ქალბატონ მზია ინჯიას ბიძაშვილის, ქალბატონ

ცისანა ინჯიას

გარდაცვალების გამო.

## ყველაფერი ყველაფერზე

### როცა თბილისში ქოლერა გაჩნდა

1798 წელს თბილისში ქოლერა (შავი ჭირი) გაჩნდა. იგი ახალციხის მხრიდან შემოსულმა ვაჭრებმა შემოიტანეს. მეფე გიორგიმ ზომები მიიღო მდგომარეობის გამოსასწორებლად. გაკეთდა კარანტინი. ამასთან, მეფემ წერილი მისწერა ახალციხის ფაშას, რათა გამოეცხადებინა თბილისისკენ მომავალთათვის, არავითარ შემთხვევაში არ გადმოელახათ საზღვარი, თორემ „სავაჭროს წავართმევო და თვით მასაც თოფსა ჰკვრენო... ექვს თვეზე ჭირიც გაქრა და შემდეგ ვაჭრობაც კვალად გაიმართა".



ამ ქოლერასთან დაკავშირებით ერთ თავისებურ მოვლენასაც ჰქონდა ადგილი. გავრცელებული რწმენით, მოსახლეობა ავადმყოფობისგან შეეძლო დაეცვა „წმინდა ლახვარს", რომელიც ეჩმიაძინის საუნჯედ ითვლებოდა. ლეგენდის თანახმად, ქრისტე სწორედ ამ ლახვრით (შუბით) განგმირეს. მეფემ სომეხთა კათოლიკოს ლუკას მოსთხოვა ლახვარი დროებით თბილისში გადმოეტანათ: „წარგზავნეს კაცნი და მოჰსცეს იგი გარნს სიფრთხილითა დიდითა და შიშითა, რათა ქართველთა მეფემან არ მიითვისოს თვისად საუნჯე იგი ეჩმიაძინისა. ვართაპეტმან გიორგი ოშაკანმან და ათთა სხვათა მოასვენეს და დაასვენეს იგი პირველ სიონისა საკათედრო ეკლესიასა ნუგეშად ერისა. დღისით დაშთებოდა აქა და ღამით მიასვენებდნენ ვანქისა სომეხთა ეკლესიაში. ინება ღმერთმან და განქარდა ჭირი".

გავრცელდა ხმები, რომ მეფე გიორგის აღარ სურდა დაუბრუნოს ლახვარი სომხებს. დაიწყო დიდი ღელვა და მითქმა-მოთქმა. იგი ეჩმიაძინში მოგვიანებით გადაიტანეს.

### ალაზნის ორაგული მართლაც შეუდარებელია

**ერეკლე II-ეს სხვა მრავალ ნიჭთან ერთად, გასაოცარი ენერგიაც ჰქონდა, 3-4 საათის ძილი ჰყოფნიდა, სმა-ჭამაც ზომიერი იცოდა. ერთხან თავისი მემკვიდრის, გიორგის დიდი იმედი ჰქონდა, „დიდი ხელმწიფე გამოვაო". არ გაუმართლა.**

ახალგაზრდობაში ლამაზი, მაღალი და მოხდენილი, ისე, რომ ვერაფერს დაუწუნებდი, გიორგი შემდეგში როგორღაც მოდუნდა, პასიური გახდა, თითქოს აღარაფერი აინტერესებსო. ეტყობა, ცუდი ავადმყოფობა შეეყარა, რომელსაც დღეს ბულიმიას (მგლის მადას) ეძახიან. ისე გასუქდა, რომ ცხენზეც ვეღარ ჯდებოდა. „შემდეგ შეეჩვია შინა ყოფნასა და მოთხოვნილებისა გამო დიდისა გვამისა. მიიღებდა სანოვაგესა და მადიანად მარადის... დიდად უყვარდა ზაქი წლეული, ანუ უფრო მოდიდო, სირბილისა, სითეთრისა, გემოვნებისთვის მისისა ხორცისა. უმეცარნი და მეშურნენი და მტერნი მისნი ჩუმნი, დაფარულნი ეცინოდნენ მას ამისთვის და იტყოდნენ სიტყვით „მრთელსა ზაქსა ჰსჭამსო" (პლატონ იოსელიანი).

ზაქის ხორცის გარდა, გიორგის საყვარელი საჭმელი ორაგული ყოფილა, რომელსაც იმდენს მიირთმევდა, რომ... ცუდად ხდებოდა. „ორაგული უყვარდა დიდად და ჰსწყინდა მარადის. მკურნალნიცა აყენებდნენ ორაგულისა მირთმევისაგან და არა ერთგზის განკურნესცა წყინებისგან ორაგულისა. აქაცა შექცევისათვის და ხუმრობითა წარმოიტყოდა სიტყვასა: „ოთახისათვის დარბაზი ვის დაუქცევია?"

### მეფე გიორგი ესაუბრა პატრ ნიკოლას

**მისიონერ პატრ ნიკოლასთან უყვარდა საუბარი მეფე ერეკლეს. პატრს პატივს მეფე გიორგიც სცემდა.**

**მეფე:** პატრო ნიკოლა! სადაა ეხლა დიდი სარდალი ბონაპარტე?

**პატრი ნიკოლა:** ებრძვის რუსთა და კეისარსა. ესენი ცდილობენ დაიცვან ფრანგისტანში ქრისტიანობა. არღაა მუნ აგერ მრავალი წელიწადია არცა წირვა, არცა ლოცვა, არც ქორწინები, არცა მღვდელი და ეპისკოპოზი, 25 მილიონი წარმართად არიან გარდაქცეულნი. ვინ ჰქნა ესე? უკეთურთა მწერალთა ვოლტერმან და სხვათა მეფეო!

**მეფე:** ვოლტერი? მეგობარი ჩემი შვილისა დავითისა, ჩემის მემკვიდრისა. ვაი შენ გიორგის, რუსეთში მყოფმან ჩემმან შვილმან შეისწავლა მისი ურჯულო ჰსწავლა. მოიტანა აქა მისი სახე, რომელიც სამართლად დავსწვი ცეცხლსა. ღმერთი წარუმართებს რუსთა და კეისარსაცა. თვით მაცხოვარი ჩემი შეეწევა იმათ. ქრისტეს გარეთ რაღაა კაცი? უკეთესსა ვინ გვასწავლებს. მეორე არიოს ყოფილა, უნდა იყოს ის შეჩვენებული.

**პატრი ნიკოლა:** წმინდისა პაპისა ლოცვითა ვერ გაიმარჯვებს მტერი.

**მეფე:** ეკლესიასა ქრისტესსა, ჩემო პატრო, ვერა ჰსძლევს ბჭე ჯოჯოხეთისა.

**პატრი:** მრავალი უნახავსთ დევნა ქრისტიანეთა.

**მეფე:** დიოკლეტიანემან, ნერონმან, ივლიანემ და სხვათა ვერ ჰსძლიეს ქრისტესსა, რას იქმს ვოლტერი ბოროტი სიტყვებითა.

მოამზადა **გივი გამრეკელმა**

## დღის კალენდარი

**29 ივნისი**

**ხსენება წმ. ქაიხოსრო ქართველისა (1558)**

**ხსენება წმიდა მღვდელმთავარ ტიხონი ამათუნტელი ეპისკოპოსისა, მღვდელმოწამე ტიგრი ხუცესისა და მოწამე ევტროპი წიგნის მკითხველისა.**



ამოდის 04.29
ჩადის 19.40



ამოდის 21.26
ჩადის 22.21

### დაიბადნენ:

**1849 – სერგეი ვიტე,** რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრი, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე, მისი მინისტრობისას რუბლი ყველაზე მყარი ვალუტა იყო მსოფლიოში.

**1855 – იაკობ მანსვეტაშვილი,** პუბლიცისტი, მწერალი. გარდაიცვალა 1944 წელს.

**1868 – ჯორჯ ჰეილი,** ამერიკელი ასტრონომი.

**1894 – პაოლო იაშვილი,** პოეტი, ცისფერყანწელი. გარდაიცვალა 1937 წელს.

**1900 – ანტუან დე სენტ ეგზიუპერი,** გამოჩენილი ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1944 წელს.

**1911 – ელენე ვირსალაძე,** ქართველი ფოლკლორისტი. გარდაიცვალა 1977 წელს.

**1936 – რევაზ გაბრიაძე,** დრამატურგი, მწერალი, რეჟისორი, მხატვარი.

### გარდაიცვალნენ:

**1916 – ალექსანდრე ყიფშიძე,** ქართველი ისტორიკოსი, პუბლიცისტი.

**1940 – პაულ კლეე,** შვეიცარიელი ფერმწერ-აბსტრაქციონისტი.

### მოვლენები:

**1561 წელი** – დასრულდა მოსკოვის ცნობილი ტაძრის – ვასილი ნეტარის ეკლესიის მშენებლობა.

**1916 წელი** – ჰაერში აფრინდა ავიაკომპანია „ბოინგის" პირველი თვითმფრინავი.

**1922 წელი** – თეოდორ შალიაპინი გასტროლებზე წავიდა საზღვარგარეთ და რუსეთში აღარ დაბრუნებულა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**კათოლიკური სამყარო აღნიშნავს რომის ეკლესიის დამფუძნებელთა, წმიდა მოციქულების პეტრესა და პავლეს დღესასწაულს.**

**სეიშელის კუნძულები** – დამოუკიდებლობის დღე.

მედიანიუსი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8397 ლარი |
| 1 ევრო | – 2.2599 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7402 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9200 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.7803 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2484 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2798 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1422 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6456 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +18 – +33 |
| ქუთაისი. | +21 – +28 |
| ბათუმი. | +20 – +31 |
| ზუგდიდი. | +21 – +32 |
| თელავი. | +18 – +32 |

## კადრი



## ანეკდოტები

ხალხით გადავსებულ ავტობუსში ძლივს შემოეკვეხა ერთობ გალეშილი ტიპი.

– რა უბედურებაა, ცარიელ ავტობუსში ვერ ავიდა? – აწუწუნდნენ ქალები.

– გაიგეთ, ხალხო, ცარიელ ავტობუსში ვერ ავალ, წავიქცევი!

* * *

– მაინც როგორი მამალი ნაცისტები არიან ეს იაპონელები!

– საიდან მოიტანე?

– როგორ თუ საიდან. ვერ ნახეთ, რომ ნაკრებში ერთი ზანგიც არა ჰყავთ!



* * *

ადამიანი თავის ტვინს მხოლოდ 3 პროცენტით იყენებს. და მაინც სხვებს სრული 100 პროცენტით უბურღავს ტვინს.

* * *

– ექიმო, ცოლი მღალატობს, რქები კი არ ამომდის.

– არც უნდა ამოგივიდეს, ეს ხომ ზღაპარია...

– დარწმუნებული ხართ?

– აბსოლუტურად.

– თქვენ გაგახარათ ღმერთმა, მე კი ვშიშობდი, კალციუმი ხომ არ მაკლია-მეთქი.

* * *

– სამწუხაროდ, დღეის ამას იქით თავი უნდა დაანებოთ სმას, მოწევას, ქალებში სიარულს.

– მაგრამ მე ხომ მამაკაცი ვარ, ექიმო.

– პირის პარსვის გაგრძელება შეგიძლიათ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.